

# სამოზლო

ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების  
ყოველთვიური ღრგანო.

“LA PATRIE”

L'organe de la démocratie nationale géorgienne

პარიზი. აგვისტო 1929 წ.

Nº 2

მინარევი:

აგვისტოს აჯანყება . . . . . შ. ამირეჯიბი.  
კავკასიის კონფედერაცია . . . . . დ. ვაჩნაძე.  
სალი გზით . . . . . , . . . . . ი. ხანანაშვილი.  
იასონ ჯავახიშვილის სიტყვა საქართველოს უზენაეს  
სასამართლოში წარმოადგინება 31 ივლისს 1925 წ.  
ერთი უწესოების შესახებ—განმარტება პარტიის  
ცენტრალური ბიუროს.

შინაური მიმოხილვა.

# სამოგლობ



ეროვნულ დემოკრატიული მიმართულების ყოველთვიური ორგანო.

L'organe de la démocratie nationale géorgienne "La Patrie"

პარიზი. აგვისტო 1929 წ.

N 2.

Paris. Août 1929.

## ა გ ვ ი ს ტ რ ს ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა.

აგვისტოს აჯანყების შესახებ პირველად მიხდება წერა, თუმცა მას აქეთ ხუთმა წელიწადმა გაიარა. მე მიზევნიან რომ ამ ლირს შესანიშნავ ამბავზედ სხვებმა სწერონ. სხვანაირად რომა ვსთქვათ, თვით აგვისტოს აჯანყებისათვის იქნება კარგი, რომ მის შესახებ მერე დაიწეროს და არა ეხლა. არის ჩაღატა ფრიად ამაღლებული და დაუთვლელი ქართველი ერის ამ თავგანწირულ ნაბიჯში და ამავე დროს ბევრი ანგარიშიანობა და დოკტრინიორობა თანამედროვეთა შორის, რაიცა ხელს გვიცარავს, რომ ჩემი დრო ნამდვილად და სწორედ მიუდგეს მას. პირადათ მე დღემდისაც ის მოწინება შემრჩა, რომელიც იმ დღეებში მქონდა და რაიცა მაშინ ყველა ქართველისათვის ერთად ერთ განცდას შეადგენდა.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ აგვისტოს აჯანყება ვინმერ გადასწყვიტა, ან მისი თავიდან აცილება ვისმეს შეეძლო და არ ინდომა. აჯანყების წინ ერთი მეგობარი დავიბარე, რომელიც ჩენს საქმეში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ რომლის აზრს დიდს ანგარიშს უწევდი და გავნდე. მე ვენდობოდი, როგორც იმის ჭიუას, აგრეთვე იმის პირუთვნელობას და მისი საშუალებით მსურდა გამეგო, როგორ მოეკიდებოდა აჯანყებას, საზოგადოებრივად დაქსასული და დაფარტული ქართული გულის ის სინიდისი, ურომლისოდ, როგორც მე თითონაც კარგად მესმოდა, კაცი კაცს გამარჯვებას ვერ ეტყვის, არამც თუ აჯანყიბა მომიწონეო.

ადვილად გასაგების მოსაზრებით მე იმ კაცს არ ვასახელებ, მაგრამ ჩენ შორის დაახლოვებით ასეთი ბაასი გაიბა:

— აჯანყება მოხდება! უთხარი მე.

— ეგ უგუნურება! იქნება! მიპასუხა მან.

— ყოველი აჯანყება აუცილებლობის გამო ხდება. უგუნურება არაფერ შუაშია.



ს - 476

— ეგ აუცილებლობა უფრო თქვენთვის არსებობს, ფარული ზაღან-სათვის, ვიდრე ქართველი ერისათვის.

— სცდები. აჯანყებაზედ ქუჩაში უფრო მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე ფარულ წრეში. ქართველი ერი ჩვენსედ, ფარულებზედ, უფრო მრავალია, ჩვენ იმის წინააღმდეგ ვერას გაგხდებით.

— ხალხი რომელიც ქუჩაში ლაპარაკობს აჯანყებაზედ, აჯანყებას ვერ მოაწყობს. თუ აჯანყება მოხდა, თქვენი, ფარულების და, მაშასადამე, უმცირესობის მოწყობილი იქნება და არა უმრავლესობის... ქართველი ერისა!

— მაშ რა ვქნათ? აჯანყება მაინც იქნება!

და როგორც ეხლა მაგონდება, აჯანყების ამ პირუთვნელმა მოწინა-აღმდევე ადამიანმაც ვერ მითხო — რა ეშველებოდა საქმეს. კე შმარიტად რომ აჯანყება თავისით მოდიოდა, ის მოდიოდა ხალხში გამეფებულის სულისკვეთებისაგან, როგორც ორთქლი წყლიდგან, წყიმა—ღურბლიდგან, ალი—ცეცხლიდგან. ამ სულისკვეთებას ჩემი მეგობარი ჩემზედ უკეთესად იცნოდა, ვინაიდგან ეს წელიწადები, როგორც ფარული კაცი, მე ოთახში „ვიჯექი“ — ის ხალხში ტრიალებდა.

აჯანყება მართლა მოხდა. ის მოხდა ჩვენი ყოვლად შმიდა ღვთის-მშობლისა და ყურიძნის კურთხევის თვეში. ჩვენმა წინაპრებმა რომ კახას-თავშედ მონალლების წინააღმდევ შეთქმულობა მთაწყვის — ესეც ზაფხულ-ში იყო. საქართველოს ბუნება, მისი ხალხი, იმისი ციხე-მონასტრები, ტყები ასე უხვად განხეული და იმისი წარსული, არასოდეს ასეთის დარ-დით არ გამისდია, როგორც იმ დღეებში. შემდეგში, როდესაც გამარჯ-ვებული მტერი აჯანყების მეთაურებს და მონაწილეებს ასამართლებდა, ბოლშევიკი-პროკურორი გესლიანობდა. აჯანყებულებს შტაბი შაომლე-მის მონასტერში ჰქონდათთ. იასონ ჯავახიშვილმა შესაფერი ბასუხი გას-ცა, რასაც მეითხეველი ჩვენი უურნაოს ამ ნომერში ამოიკითხავს. მოლ-შევიკი-პროკურორი არამაც თუ მართალი არ იყო, შემცდარიც არ იყო და ამ ბოლშევიკურ სიბრიუყვეს განზრის სჩადიოდა, რომ თავისი საქციელით, ეითომდა მონასტრიდგან „მოწყობილ“ აჯანყებისათვის სახელი გაეტეხა.

აჯანყების კომიტეტი შიომლების მონასტერში არა მჯდარა და „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ მხოლოდ გზად იყო იქ. შიო-მდვიმეში აჯანყების მეოთხე დღეს მივეღით და იქიდგან არაგზედ ვაპირებდით გა-დასვლას. მაგრამ ქ. ჩოლოყაშვილი ერთი დღით აღრე წავიდა დუშეთის ასალებათ და ჩვენ მხოლოდ მეორე დღეს უნდა გავსდგომოდით გზას. ჩემ-თვის ეხლა ცხადია, რუსისწითელმა არმიელებმა, რომლებმაც ჩვენი შიო-მდვიმეში ყოფნა ძალიან კარგათ იცოდნენ — მანამდე ვერ გაბედეს იქ მოს-ვლა, ვიდრე ქ. ჩოლოყაშვილი წასული არ დაიგულეს და ჩვენი შეცდომა იქნება ის იყო, რომ ჩვენ ქ. ჩოლოყაშვილს დაგსცილდით.

მაგრამ შიო-მდვიმის მონასტერს რომ გზად მოვხვდით, აქაც ისტო-



რიის უნებლივ გამეორებასა ჰქონდა ადგილი, რაზედაც მაშინ, რა უნდა არავის გვიფიქრია, დიდებული დავით აღმაშენებელი, რომ თავის ერთ მრავალ ლაშქრობათაგანში მიღიოდა, შიო-მღვიმეში მივიდა და თავისი ანდერძი იქ დასწერა, იმ შემთხვევისათვის, თუ ვინაცობაა, ლაშქრობი დგან ცოცხალი აღარ დაბრუნდებოდა. საქართველოს ტახტის უკანასკნელმა მემკვიდრემ, დავით ბატონიშვილმა, თავის თოფი შიო-მღვიმის ბერებს გადასცა და ისე დასტოვა საქართველო. როდესაც ერი ისტორიულ ტრადიციებს მოჰყიდებს ხელს, შეუძლებელია უკვე ყოფილ ამბავს არ წა-აშენდეს. აგვისტოს აჯანყება ერთი ასეთი ქართული ტრადიციის გაცო-ცხლება იყო.

აჯანყების შემდეგ ლაპარაკობდნენ და სწერდნენ კიდეც, რომ აჯან-ყებამ საციალ-დემოკრატიული პარტიის გეგემონია დაამტკიცია. სინი-დისის ქვეშ უნდა ვსთქვა, რომ მარქს-ენგელსით „ახატულ-ჩამოხატული“ დროშები ამ დღეებში არსადა ხიანდა და ხალხი ქართულის დროვებით გამოიჩიდა. მარქს-ენგელსის დროშები ამ ისტორიულად წმინდა ქართულ დღეებში, ჩეენი მტრების, ბოლშევკების, ბანაკში დარჩნენ. ამიტომ თუ ავგისტოს აჯანყებამ რამე დაამტკიცა, მხოლოდ ის, რომ ქართველი ერი ამ დღეებში სწორედ ამ ზროშებს გამოიყო და სამუდამოდ თავისი ქარ-თული დროშა ააფრიალა. აგვისტოს აჯანყებით საქართველოში ახალი ისტორია დაიწყო. იმისი პათოს გამოიხატა არა გამარჯვებაში, რომე-ლიც აჯანყებას არ მოჰყოლია. არამედ იმ მოწამებრივ სიკვდილში, რომ-ლითაც ქართველები წმინდა ქართულის იდეალისათვის იხოცებოდნენ.

არ შემიძლიან ერთი ამბავი დავიდუმო, რომელიც მჭერმეტყველად ამტკიცებს, რომ ამ უაღრესად ქართულ დღეებში არა ქართული ფიქრის, მოვლენის და ემბლემის ქართულთან შეგუება ყოვლად წარმოუდგენელი იყო. როგორც ყოველი დიდი სულისკვეთება, იგი სრულიად მარტივ ამ-ბავში გამოიხატა. იმ დღეებში, ვიღაც თავმომწონე პატრიოტმა, რომელი-ლაც ბოლშევკურ დაწესებულებაში ყოველსავე ბოლშევკურს, შოთა რუსთაველის ბიუსტიც ზედ მიაყოლა და კედელს შეახეთქა. ამ გადაჭარ-ბებულ აჯანყებულს რომ რუსთაველის ბიუსტი არასოდეს არ უნახავს და ჩეენი უდიდესი ეროვნული ბიუსტიც, უბრალოთ და მარტივიად, ბოლშე-ვიკურ ბელადის ბიუსტი ევონა—ეჭვიც არ უნდა იყენეს. ჭავიან გაცს აზრად არასოდეს არ მოუვა, მაგრამ მარტივმა გულმა უცბად იფიქრა, რომ თუ რუსთაველი ნამდვილი ქართველი იყო, ბოლშევკურ ისპოლკომში რა უნდოდა?! ეს „ვანდალიზმი“ ნაციონალიზმის უნებლივ გამოხატულება იყო.

ის საბრალო რომ ბოლშევკებმა იმ დილასვე მიხვრიტეს, მტკიცე-ბაც არ უნდა. მაგრამ მე ისიცა მგონია, რომ აღსასრულის წუთს, როგორც უკანასკნელი ამ ქვეყნიური ხილვა, შოთა რუსთაველი გამოეცხადა და უთხრა:

„—შაბაშ კაცი, შაბაშ სიტყვა, შაბაშ საქმე — მისგან ქმნილი!“!

მე არა მსურდა არც აგვისტოს აჯანყების ისტორიის დაწერა, არც მისი პოლიტიკური მნიშვნელობის შეფასება. კაცმა რომა სთქვას, მე არი ამბავიც ვერ გადავაძი ერთმანეთს, ჩ.ომ ჩემი დაწერილი მოვლენებას მაინც დამსგავსებოდა. მე მინდოდა მხოლოდ მათი სულების მოხსენება, ვინც იმ დღეებში საქართველოს წმინდა და უბიწო ხატებისათვის მოკვდა.

შალვა ამირეჯიბი.

## კავკასიის კონფედერაცია.

შესავალი

ამ ეამად უცილო სიმტკიცით შეგვიძლიან ვალიაროთ თუ რა იყო. მთავარი მიზეზი კავკასიის რესპუბლიკიების მარცხისა.

ეს მარცხი ნაყოფია იმ დიდი ისტორიული შეცდომისა, რომ კავკასიის ერებს შინაგანი და საგარეო ერთობა არა ჰქონდათ.

ჯერ კიდევ ათეული წლების წინეთ, ვიდრე კავკასიის ერებს დღე-ვანდელი ბრძოლის ხანა დაუდგებოდათ რუსეთის წინააღმდეგ, ზოგიერთი შორსმჭვრეტელი მოღვაწე კავკასიისა, წინასწარ გრძნობდა ამ ერთობის აუცილებლობას და სცილობრნენ მთლიანი კავკასიის ფრონტის შექმნას.

ახალი საქართველოს სულიერი მეთაური ილია ჭავჭავაძე, წარსული საუკუნის ბოლოში, სხვა თავის თანამედროვეებით ერთად, არა ერთხელ ცდილა კავკასიის ერების მეგობრულ გაერთიანების ფართო გეგმის შედეგებას. ამ თაობას არა ერთხელ ჰქონია მოლაპარაკება ამ საგანწერა აზერ-ბეიჯანის, სომხეთის და ჩრდილო-კავკასიის წარმომადგენელებთან.

სახელოვანი ქართველი მოღვაწე და პუბლიცისტი ნიკოლაძე 1895 წელს ქართულ უურნალ „მომბეჭი“ სწერდა:

„დღეს, გვინდა თუ არა, სულ ერთია, მეზობლები უნდა ვიყვნეთ ერთმანეთისა, ერთისა და იმავე ჭაპანის მწეველნი, ერთნაირ უფლებათა პატრონნი, ერთისა და იმავე მოვალეობის მტვილოფელნი. დროა მიგხვდეთ ყველანი, რომ რაკი ამ მდგომარეობიდან არც ერთს ჩვენგანს არც გაქცევა შეუძლიან, არც სხვების გადადევნა, მეტი სამველი აზავისა გვაქვს: უნდა ერთმანეთში მოვთავსდეთ და მოვრიგდეთ, თუ გვინდა, რომ ჩვენი ცხოვრება ცხოვრება იყოს და არა სრულიად უსაგნო, უგუნური წეწეა-გლევა ერთმანეთისა, ვინ იცის ვის სასაჩვენებლოდ.

„რასაკვირველია, ყოველი ერთ ვალდებული, სანამ კი შეუძლია, იბრძოლოს თავისი მამულის, რწმენის, ენის, ვინაობის, ეროვნების დასა-ცველად, შესანახავად, მაგრამ ნუთუ შევიცარიილებმა თავიანთი ან ენა დაჰკარგეს, ან რწმენა, ან ვინაობა, ან ეროვნება? ნუ თუ მათ მიერ ამხანა-

გურად დაარსებული წესი და კანონი საუკუნეების განმავლობაში, ლამპა-რად არ უნათოდა ყოველმხრივ მათ მეგვარტომე ფრანგებს, იტალიელებს და გერმანელებს და ყველა იმ ერისათვის გზის მაჩვენებელ კანდელად არ შეიქმნა, მათის ამაღლების და დასწინისი იარაღადაც?...

„არც საჭიროა, მაინც და მაინც, რომ გულითადი სიყვარული, გინდ პატივისცემა გვერდეს ამ მეზობლებისა, შესაძლოა კიდეც, რომ ძალიანაც გვძულდეს, ან სრულებითაც არ შეგვეფერებოდეს მათი ხასიათი, ჩვეულყბა, საჭიროლი, წესი, კანონმდებლობა. რიგიანი განწყობილება სწორედ იმიტომ გამოუვინა კაცობრიობას, რომ სიყვარულის ადგილი დაიკავოს იქ, სადაც ეს ძლიერი გრძნობა არ არსებობს. თორემ საცა სიყვარულია იქ რა საჭიროა ან კანონი, ან წესი, ან მართველობა? მაგარი ისაა, რომ სიყვარული ერთობ ძვირობს დედამიწაზეც, და საცა კია, ნამეტანად მოძრავი, დაუდევეგარი გრძნობაა. ზედ ერთა ცხოვრება კი არა, თვით კერძო კაცთა განწყობილებაც ძნელად დასაფუძნებელია. მასზე ბევრად უფრო გამოსადეგი ამ მხრით, ყოველგან და ყოველთვის ყოფილა კაცობრიობისათვის სიმართლე, პირობა, მორიგება, ანგარიში, მტკიცე წესი. ხშირად მომხდრა ხოლმე, რომ სიმართლეს და სამართალს მტრები შეერიგებინოს და შეეყვარებინოს ერთმანეთისთვის...“ \*).

მომავალი ამბების მოლოდინში და იმ დიდი მნიშვნელობის გამო, რომელიც კავკასიის მთ უიანობას ჰქონდა, წარსული საუკუნის ქართველი მოღვაწენი ასე უდგებოდენ კავკასიის პრობლემას.

მაგრამ ამ ამბებმა უფრო მაღე იჩინეს თავი, ვიდრე ისინი ამ საკითხს მოაგვარებდნენ.

დიდი იმის ცეცხლსა, კომლსა და სისხლში, ბორკილ აყრილმა და რუსის ასწლოვანი ულელ გადაგდებულმა კავკასიის ერებმა, კავკასიის ბედი და მომავალი თავის რევოლუციონურ მთავრობებს ჩააბარეს.

ამ მთავრობებს – რომელთაგან ზოგი რუსულ ნილილისტურ და კოსმოპოლიტურ იდეათა წიალში იყო აღმოცენებული, ზოგიც – კაცასიისა თვის უცხო და მავნე ორიენტაციის ნიადაგზეც, კავშირი არა ჰქონდათ თავისი ჰქონების წარსულ გამოცდილებასთან და ისტორიასთან. ვერ გაერკვნენ ახალს ვითარებაში და იმ ახალ, სადღეისო, ეროვნულ მიზნებში, რომელსაც ახალი კავკასია უყენებდათ წინ.

რომ მათ უწყობდა ხელს, მაგრამ ეს მთავრობები ვერც მორიგდნენ, ვერც შეთანხმდნენ. 1920 წელს, 13 აპრილს, ს-რემოზი, მათ მსოფლიოს წინაშე გამოიდავნენ, რომ უნარი არა ჰქონდათ, შინაური კავკასიური უთანხმოებანი მოეგვარებინათ. კავკასიისათვის ეს სამწუხარო გარემ აება მესამემ გამოიყენა თავისათვის.

კატასტროფამ უცბად იჩინა თავი.

\* ალ. ასათიანი „ძველი და ახალი მემკვიდრეობა“. გამოც. „საქართველო“, 1928 წ.

რუსეთის წითელი არმიების შეტევამ უცბად მოუღო ბოლო ჯერ ჩრდილოეთ-კავკასიას, მერე აზერბეიჯანს და სომხეთს. 13 აპრილს, 1921 წ. კავკასიის შუაგულში, სქართველოს დედა-ქალაქ ტფილისში მოსკოვის ხელისუფლება დამყარდა. კავკასიის ერებმა თავისი დამოუკიდებლობა დაჰკარგეს. რუსეთმა ძევლი საზღვრები მოიგო.

• • •

ამ კატასტროფამ ბევრი კავკასიური საუნჯე შეიწირა, ბევრი დაიღუპა ადამიანის სიცოცხლე, ქონება, მხერი მაგრამ როგორც უშინაც არ დალუპულა ორი სამარადისო თვისება კავკასიისა:

შეუჩერებელი მისწრაფება თავისუფლებისადმი—და თავდაცება და უზომო სიმხნე—კავკასიის ერების ეს მუდმივი თვისება თავისუფლებისა—თვის ბრძოლაში.

ჯერ კიდევ უსსოვარის დროთაგან სჩანს, რომ ამ თვისებათა დათხრუნვა ვერავინ შესძლო. კავკასიის ისტორიას არ ახსოეს უცხო ძალა რომელთაც კავკასიელ ერების ეს გამძლეობა დაეთრგუნოს და მათს ნაონარზედ, მათს მიწა-წყალზედ მოკალათოს,

ვერ შესძლებს ამას რუსეთის.

„წყალნი წაულენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“, ამბობს ძევლი ქართული ანდაზა.

შემოსულთა ურდოები ნიაღვარივით აწვებოდნენ კავკასიას, მაგრამ კავკასიის ერები თავისი კალაპოტიდან ვერც ერთმა თქეშმა ვერ ამოაგდო და კავკასია არს ერთი უცხო ერთ სათვის არ დაუთმიათ.

ეს ასე იყო. ეს მართალია. მაგრამ ნუ თუ არ დაჰკრა ბოლოს და ბოლოს კამან, რომ მთელი კავკასია თავის კერძობიდგან შეინძრეს და ურდვევების ერთიანობით შიგ სათავეშივე ჩაჰალას ძევლის ძევლი მიწაზე თვისი უბედურობისა.

ნუ თუ არ დადგა დრო, რომ ერთხელ და სამუდამოო ბოლო მოეულოს უცხოელთა დაუსრულებელ შემოსევას კავკასიის მიწა-წყალზედ, მისი ერების მოსახლეობის ცდას, მათი ქონების გატაცებას, მათი კულტურის ამოგდებას და პოლიტიკურ მონაბას?

ნუ თუ კავკასიის ერებს არ ეყოთ ისტორიის მრავალი და სისხლში ამოვლებული მაგალითი, ან დლევანდელი დღის გაკვეთილი—შედეგი ამ ერთიანობის და შეთანხმების უქონლობისა?

ნუ თუ არ დადგა დრო მთლიანი კავკასიონისაგან ერთი სალი კლდის შექმნისა იმისი მრავალ საუკენოვანი სამკვიდროს დასაცემლად და ისეთი პირობების შესაქმნელად, რომელიც უზრუნველ პყოფილენ იმის ძევლი აბორიგენების მშვიდობიან, შრომიან და ნაყოფიერ ცხოვრებას.

ცხოვრება ულმობლად გვიპასუხებს:

დიახ, დაღგა. დრო არის შევერთდეთ, ეხლავე, ნამდვილად და სა-  
მუდამოთ.

დიდი ხნას ლოდინის შემდეგ ჩვენ ფეხი შევსდგით ისეთ ისტორიულ  
ხანაში, რომა რუსეთის ყოფილი იმპერიის სივრცეშედ, ეროვ-  
ნული თვითშეგვამა რუსეთის მიერ დამონებულ ერებისა, სასწრავოთ  
თავის ლალიკურ დასკვნისაკენ მიემართება. კრიზისს განიცდით  
სლავიანების წიალი. უძველესი, ძლიერი და მდიდარი ვლა სლავიანობისა,  
უკრაინის ერი, ეს სლავანთა ტერიტორიის ბედელი, ყოფილი აკანი  
ეგრედ-წოდებულის რუსეთის ისტორიისა, კულტურისა, ფუძე იმისი ეკო-  
ნომიურისა და პოლიტიკურის ძლიერებისა, შეუჩერებლივ გამორბის მოს-  
კოვის უდ კიდგან და უნდა შექმნას თავისი საკუთარი უკრაინული სახელ-  
მწიფო. ეს თავდადებული ბრძოლა უკრაინობისა და მოსკოვის შორის დღი-  
თი დღე იწრდება. ამ ბრძოლას ასაზრდოვებს ამ ორი სლავიანური ერის  
ცხოვრების ობიექტიური პირობები, მათი ისტორიული წარსული, ეროვ-  
ნული განსხვავება და პოლიტიკური იდეალი. მათ განშორებას თან უნდა  
მოჰყვეს უზარმაზარი და ყოვლის ჩამნმთქმელი მოსკოვის სახელმწიფოს  
დაშლაც.

კავკასიამ ანგარიში უნდა გაუწიოს მ. სგან ჩრდილოეთით წარმოე-  
ბულ პროცესის ამ მნიშვნელობას და აქედანვე დარაზმული, შედუღებული  
და შემომწიკიცებული შეხვდეს ამ პროცესის თვალსაჩინო შედეგებს.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა, რა თქმა უნდა, რომ კავკასიის მომავა-  
ლი მხოლოდ ჩრდილოეთის ბეჭს დაუკავშიროთ.

კავკასიის გეოგრაფიული მდგომარეობა, იმისი მნიშვნელობა გზა-  
შემყრელი და გზა-გამყრელი ჯვარედინობისა ჩრდილოეთსა და სამხრეთს,  
იღმოსაღლეთსა და დასავ ლეთს შორის, იმისი მეზობლობა აღორძინებულ  
მუსულმანურ სახელმწიფოებთან — სპარსეთთან, ოსმალეთთან, სირიასთან  
და თანარჩენ დამოუკიდებელ არაბულ ქვეყნებთან — კავკასიის საყურადღე-  
ბო ქვეყნათ ხდის დიდ მსოფლიო სახელმწიფოებისთვისაც, რომელთა  
ენერგია დღეს სწორედ ამ წინა აზიისაკენ არის მიმართული. ნაკთი. მარ-  
განეცი, ქვანახშირი, ბაბა, აბრეშუმი, ტექ. რომელიც ასე მრავლადა  
აქვს კავკასიას წინა აზიის პირველ რიგში აყენებს. ეს გარემოება კავკა-  
სიელებისაგან კიდევ ხელმეტ ყურადღებას და ენერგიას მოითხოვს, რათა  
დაცულ იქნას თავისუფალი და დამოუკიდებელი მომავალი კავკასიისა.

ეს კი შესაძლებელი მხოლოდ ერთის სავალდებულო პირობით —  
კავკასიის ერთა სრულის შეთანხმებით.

ეს შეთანხმება არ უნდა იყოს მარტო დიპლომატიური, ტაქტიკური,  
ფორმაზურული ვითარებით — ეს იგი, მარტო სადაცისო ანგარიშით, გა-  
მოწვეული, არამედ სახელმწიფოებრივად შეკავშირებული, მუდმივი, დამ-  
ყარებული ყველა ჩვენ ფიზიკურ და კულტურულ ძალებზედ და სამუ-  
ლებებზედ.

უსხეულო და უსულო ჩონჩხში სიცოცხლე ვერ დაისადგურებს. აქა-

მდე წარმოებული სისტემა შეთანხმებებისა და პირმანენტულ მორიგებისა, გამოტეხილი უნდა ითქვას, მთლიან თავის მოტყუილებაა, რომელიც მთლიან მესამეს ახარებდა. ეს ნაცადი გზა არ ვარგა.

არის მეორე გზა—გზა ხსნისა, განთავისუფლებისა და აღორძინებისა, დღევანდველი ვითარების მიერ დასახული, გზა კავკასიის ერთა სახელმწიფო კავშირისა, რომელსაც კავკასიის კონფედერაცია ეწოდება.

რა არის კონფედერაცია? არსებობს თუ არა ასეთი სახელმწიფო ორგანიზაციის მაგალითი? რა შემადგენელებისაგან შესდგება კავკასია, რომ ეს კონფედერაცია განხორციელდეს?

როგორია კავკასიელ ერთა უთანხმოება, რომელიც ამ კონფედერაციას, ხელს უშლის და როგორია ნამდვილი ვითარება, რომელიც მას ხელს შეუწყობს? ამიერ-კავკასიის კონფედერაცია, თუ კავკასიის კონფედერაცია? საფუძველი კავკასიის კონფედერაცია ისა, და რა ეტაპებით უნდა წავიდეთ იმის შესაქმნელად??

ამ, ის საკითხები, რომლის პასუხის გაცემა თავს ვიდევი. საგანი ფრიად რთულია. მას ერთი კაცის პასუხი ვრჩ აუვა.

მაგრამ სწორედ ამის გამო ესვამ მას საჯარო კავკასიელების წინაშე. ეს საერთო საკითხი, საერთო ჭკუით და საერთო კავკასიური ღონისეიებით უნდა გადასწყდეს. ავტორს ამაში მხოლოდ თაოსნობა ეკუთვნის, რადგან ღრმად არის დარწმუნებული იმაში, რომ თუ კავკასიის კონფედერაციის საკითხი ამ ხანად აზ იქმნა დასმული, შესწავლითი და მიღებული, კავკასიის ერთა დამოუკიდებლობის საქმე შესაძლებელია ბევრად გაძნელდეს.

(გაგრძელება იქნება)

დავით გაჩნაძე.

## ს ა ღ ი გ ზ ი თ.

პოლიტიკურ პარტიათა ბრძოლის ისტორიას მრავალი გამწვავება ახსოეს. მაგრამ ამას ადგილი ჰქონია მეტ ნაწილად მაშინ, როდესაც არც ერს, არც სახელმწიფოს არ ედგა თვალწინ განადგურების შიში.

ხოლო როდესაც სახელმწიფო დაშლილია, მის ტერიტორიაზე მტრის ჯარები თარეშობენ, და როდესაც ამ დროს ეროვნული თავმოყვარება და ინსტრუქტორი თვითდაცვისა უმაღლეს წერტილამდეა მისული—ერის მთლიანი ძალა ერთიანდება, მისი ნებისყოფა კაქდება და მაღალი ნაციონალური ენტუზიაზმი ახალ წყაროებს უჩინს ერის არსებობას.

ქართველი ხალხი ასეთ მდგდომარეობაში არის დღეს. და ამ მაღალ ბუნევან გრძნობათა და აღტყინებათა ტანჯულ ატმოსფერაში ჰსუნთქავს.

ბუნებრივია, რომ ასეთი ა.რის გამოთქმაზე შეგვეკითხონ, თუ რად არ არის ეროვნულ-დემოკრატიული პარტია საერთო ტრანსტრო—მენშევიკურ პარტიასთან?...

,საერთო“ ფრანგტის ისტორია ყველაშ იცის და თანდათანიბით ჩვენი პარტიული ორგანო, —იმდენად, რამდენადაც ეს ქართული საქმისა-თვის საჭირო იქნება, —გააშუქებს ამ „ფრანგტის“ შინაარსს.

ასეთი „ფრანგტის“ დასაბამი თვით მენშევიკური პარტიის ბუნება-ში უნდა ვეძიოთ. ის ლოდიკური ნაყოფია ამ პარტიის წარმოშობისა, მისი ზრდის პროცესისა, მისი განვითარებისა და იმ პირობებისა, რომელთა წყალობითაც ამ პარტიამ ხელისუ ვლება დაიპყრო საქართველოში.

ისტორიული ჩარხი სულ სხვანაირად დატრიილდებოდა, რომ სა-ქართველოს ბოლშევიკური რუსეთი კი არ შემოსევოდა, არამედ მენშევიკური.

ლენინისა, ტროცკისა და სტალინის ნაცვლად ხომ მენშევიზმის ბე-ლადები (პლეხანოვი, მარტოვი, დანი, აბრამოვიჩი და სხ.) მოქალაქეობენ სათავეში რუსულ დემოკრატიას, მაშინ არც 26 მაისს იდლესასწაულებ-დნენ ჩვენი მენშევიკები და არც საქართველოდან გამოიქცეოდნ. პირიქით ეს იქნებოდა მენშევიკური პარტიის მისალწევი მაქსიმუმი.

ამის საბუთია თვით ფორმა და შინაარსი 26 მაისის დამოუკიდებ-ლობის აქტის განმარტებისა, განმარტება უმაგალითოა არა თუ ქართულს ისტორიაში, არამედ უფრო დაბალი წულტურის, დაბალი ზნეობის და და-ბალი ინტელექტუალის მქონე ერთა ისტორიაშიაც.

ჩვენს მენშევიკებს კი ანგარიში არა ჰქონდათ გასწორებული ბოლ-შევიკებთან. ამ ორ ჯვეულთა ერთმანეთის შეხლა-შემოხლამ, სიძულევილმა, ბრძოლამ და ჭიდაობამ წარმოშეა მენშევიკურ პარტიაში არა საქართვე-ლოს დამოუკიდებლობის აზრი, არამედ საქართველოში მენშევიკური პარტიის ციტადელის გაჩენის აზრი. აქედან დაიწყო საქართველოს დამო-უკიდებლობის სისუსტე, მისი არა ნორმალური ფორმა და შინაარსი, მი-სი განმტკიცების შეუძლებლობა მენშევიკების ძალებით და მისივე და-კარგვა მენშევიკებისვე წყალობით.

აქედანვე დაიწყო ის, რომ სახელმწიფოთებრივი და პარტიული მომენ-ტების შორის საქართველო კერძო დაუ დაით და ამიტომ პოლიტიკურ საქმია-ნობასა და ვალდებულებებში უვარგისი კონტრაგენტები გამოდგნენ ჩვენი მენშევიკები.

ეს არის ტრადიცია ქართული ეროვნული მოძრაობისა და ამის სა-უკეთესო ილუსტრაცია არის ის ურთიერთობა, რომელიც არსებობდა დღემდე საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიასა და მენშევიკებს შორის —უფრო კი მას შემდეგ, როცა რუსეთის ჩევოლებულის წყალობით მენშე-ვიკებმა შემთხვევით ჩაიგდეს ხელში ძალა-უფლება.

კონტრაგენტების უფარგისობას 1921 წლამდე გარკვეულად ითვალისწინებდა საქართველოს ეროვნული-დემოკრატია. უფრო ფართო მასებისათვის კი ეს უფარგისობა 1921 წლის შემდეგ, ყველაპის ხანაში გამოჩნდა.

არ მოვიგონებთ მენშევიკების ბარბაროსულ მაქსიმალიზმს იმ დროიდან, როდესაც ისინი სოციალურ აღმშენებლობას ეწევონდნენ საქართველოში. ისტორია ჩვენზე მაგარ სიტყვას მონახავს ამ აღმშენებლობის დასახასიათებლად.

დღევანდველ პირობებში არც ერთი ქვეყნის ემიგრაციას არა აქვს ისეთი ხელსაყრელი ბრძოლის პირობები, როგორც ქართულს. ჩვენ ოფიციალური მთავრობა გვყავს, მისი წარმომადგენელი დიპლომატიურის იმუნიტეტით სარგებლობს. მაგრამ ამ მთავრობამ რა უფრო დაამტკიცა; ის რომ იგი არის მატარებელი საქართველოს სუვერენიტეტის თუ აგრძი მე-2 ინტერნაციონალისა?

თუ ევროპა კიდევ ხმას იღებს ჩვენს სასარგებლოთ, ეს ხდება მხოლოდ იმის გამო, რომ თვითონ ქართველი ერი იბრძვის.

ხოლო თუ არ გვინდა, ასეთი თანაგრძნობა დაკვარგოს საქართველომ საჭიროა დროსზე გაიმიჯნოს ის გზები, რომელიც მიდის ერთის მხრით საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ, მეორეს მხრივ კი სოციალისტური ინტერნაციონალისაკენ.

თუ ვითქმირებთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ისევე უმაღლესი იდეალი არის მენშევიკებისათვისაც, როგორც ეროვნული-დემოკრატიისათვის, მაშინ საჭიროა მსჯელობა აღნიშნული იდეალის, მიზნის მისაღწევ საშუალებებზეც.

აქ კი ისმოს საკითხი მათი და ჩვენი ტაქტიკისა.

მათი პროგრამაც და ტაქტიკაც მენშევიკურია, სოციალისტური, იგი პარტიულია (ირ. წერეთელი უთუოდ სცდება, როცა წინააღმდეგს ამ-ტკიცებს), ჩვენი კი, პროგრამაც და ტაქტიკაც არის უაღრესად ეროვნული, სახელმწიფო ბრივი. მთავარი დერძი მათი ტაქტიკური ხაზისა ჩვენთან დამოუკიდებულობაში, არის ყოვლად დაუშვებელი, უტიფარი სპეცულაცია ჩვენის პატრიოტიზმით.

მათ იცოდნენ, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თავდადებული მებრძოლი იყო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, და გვაშინებდნენ ამ დამოუკიდებლობის დაკარგვით, უკეთ ერა-დემოკრატიული პარტია მათ წინააღმდეგ ბრძოლის დროშისა ააფრიალებდა. ამიტომ ჩვენ ურიგდებოდით თუნდაც ასეთს მთავრობას.

ეს იყო იქ, სამშობლოში.

აქ კი, გადმოცვეშილსა და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის ხანაში უფრო მიუდებელ პირობას გვისამენ: ჩვენთან უპირობო „ფრონტში“ იყავითო, უფლება ჩვენდა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები თქვენო. ჩვენ თუ საქართველოს ნიდაბ ქვეშ პარტიულ საქმეს

გავაკეთებთ, თქვენ თვალები უნდა დაპხუჭოთო. ჩვენ თუ საქართველოში ნიადაგი შეუმჩადოთ მეწევიკური ჩეკის აღდგენას და სამოქალაქო ომის გაჩალებას, —თქვენ ამაზე უსიტყვით უნდა მოგვივეთო. აյ ემიგრაციაში საერთო ფრონტზე გელაბარაკებით და გემასლაათებით, იქ კი (და აქაც) ძირბუღიანად მოგსპობთ (უორაბინა-რამიშვილის წერილები). იხილე აგრეთვე ბ არსენიძის წერილი „ბრძოლაში“ N 33-34)

ეროვნულ-დემოკრ. პარტიამ დღემდე ზიდა ეს აუტანელი ტვირთი.

მაგრამ დღეს საკითხი დასვა: მიზანშეწონილია თუ არა იმ ხალხთან კავშირი და საერთო ფრონტი, რომელთათვისაც საქართველოს ისტორია მენტევიკური პარტიის ისტორიით დაიწყო.

პარტიამ უპასუხა: რომ ვერც საქართველოს წარსულს, ვერც მის აწყვილისა და მომავალს იგი ვერ მიიტანს ზეარაკად მეწევიკების სამსხვერ-პლონქ, რომ ეს იქნებოდა გზა ქართველი ერის დალატისა, მისი იდეალებისა და მისი იმედების გაცრუებისა და მტკიცედ დაადგა შემდეგ ახრს.

1. არც მეთოდები, არც პრინციპები და არც ტრადიციები მეწევიზმისა არ მიიყვანს საქართველოს განთავისუფლებისაკენ.

2. ის „საერთო ფრონტი“, რომლითაც დღემდე მივყავდით მეწევიკებს, არ იყო საერთო, ეროვნული, ქართული ფრონტი, და იყო ანტიეროვნული, ვაშტან პარტიული, მეწევიკური ჰეგემონიის ფრონტი.

3. ის იყო ფრონტი არა საქართველოს მებრძოლი ძალების გაერთიანებისა, არამედ ამ ძალების დაშლა-დაქსაჭივისა, ფრონტი მისადები რუსეთისათვის და არა საქართველოიათვის.

4. ის იყო ფრონტი ქართული პრესტიუს დაცემისა როგორც შიგნით საქართველოში, ისე მის გარედ, კავკასიელ მეზობლების თვალში.

5. ის იყო ფრონტი ქართველი ერის თვითშეკვლელობისა და ეროვნული თავმოყვარეობის გაზრინისა, მოკლებული ყოველნაირ მიზანშეწონილობას და რეალურ ინიექტულებას.

ეროვნულ-დემ. პარტიამ უკანასკნელ შესაძლებლობამდე სცადა სწორსა და ღირსეულ ეროვნულ გზაზე დაეყენებია საერთო ფრონტი მეწევიკებთან, მაგრამ მიზანს საკუთარი თავის ზარალის მიყენებითაც ვერ მიაღწია. პასუხი ქართველი ერის წინაშე ასეთი დაშლილობისათვის სჯობს მეწევიკური პარტიის იმ სათავემ აგოს, რომელმაც ეს ფრონტი ფიზიკურად და მორალურად შეუძლებელი გაპირადა. ეროვნულ-დემოკ. პარტია კი ამდენი მსხვერპლის გადების შემდეგ სრულიადაც არა პიფიქრობს შეაჩეროს ის ნამდვილი ქართული ეროვნული ფრონტის აგების პროცესი, რომლისთვისაც მან ურიცხვი ძვირფასი საფლავები ააგო, რუსეთთან ბრძოლაში.

პირველი საფეხური პარტიის გაერთიანება იყო. ეს უკვე მომხდარი ფაქტია. მეორე და სხვა საფეხურები ლოდიკურად თან მოპყვებიან პირველს.

არ ვეჭვობთ, რომ მენშევიკები კვლავ შეუდგებიან ჩეეულებრივი მახინაციებით ჩაგვიწყონ. პირველი „მაჭახელა“ ბ-ნ ვებაზავას გაასროლინეს. მაგრამ თუ ამ სროლას ვისიმე დაზიანება შეუძლია, ეს არ იქნება ყაველშემთხვევაში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

ი. ხანანაშვილი.

ქ. პარიზი.

## იასონ ჯავახიშვილის სიტყვა

(საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოთქმული 31 ივლისს 1925 წ.).

უფალნა მოსამართლენო, ბრალმდებელმა ოკუჯავამ ბრძანა: საქმე-ში არაა ცნობა შესახებ იმისა, თუ სად მოიჩინა ჭრილობა იასონ ჯავახი-შვილმა, და ამიტომ წინააღმდეგი ვარ დაკამაყოფილებული იყოს იმისი სარჩელიო. ბრალმდებელს, თუ პქნონდა სურვილი, შეეძლო მიეღო აღნიშნული ცნობა საგანგებო კომისაში, სადაც მე მომარჩინეს, მაგრამ... რა შუაშია აქ ჩემი ჭრილობა? განა მე ჭრილობასა მდებელ ბრალად? ან როდის წარმოვადგინე სარჩელი? არ მეგონა, რომ ამისთანა გამონავარდებას პ. როვნულად ჩემს წინააღმდეგ ადგილი ექნებოდა იმ საბრალმდებლო სიტყვაში, რომელშიაც მოითხოვდნენ ჩემს სიკვდილით დასჯას; არ მოველოდი ამას, განსაკუთრებით იმ ბრალმდებლისაგან, რომელიც ორი საათის განმავლობაში გვიკითხავდა ლექციას გმირობასა და რაინდობაზე.

მე ჩემს სიტყვაში არ შევეხები სისხლის სამართლის საქმეებს, რომელსაც ბრალადა გვდებენ, რადგან ეს საქმეები ყურით მოთრეულია პროცესში. და, გარდა ამისა, ამით დაიჩრდილებოდა ის ეროვნული მოძრაობა, რომელიც დღეს დამნაშავის სკამხევა დასმული. ვილაპარაკებ მხოლოდ პოლიტიკურ ხასიათის ბრალდებოდა.

მე მაბრალებენ იმას, რომ «ვიკავი წევრი პარიტეტულ კომიტეტისა, რომლის მიზანსაც შეადგენდა საქართველოში მუშათა და გლეხთა საბჭოების რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე არსებულ მუშარ-გლეხსური მთავრობის ძალით დამსინა და ძალა-უფლების ხელში ჩაგდება». ესაა მთავარი ბრალდება. პასუხი მასზე იქნება იმავე ღროს პასუხი სხვა, მეორე ხარისხოვან ბრალდებოდა.

უკვე მოგახსენეთ და კვლავ გავიმეორებ, რომ ვიყავი დამოუკი-დებლობის კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი მისი არსებობიდან უკანას-კნელ დღემდე; ვმუშაობდი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პრეზი-

დიუმში, ვიღებდი აქტიურ მონაწილეობას აჯანყების შემთაღებასა და ხელმძღვანელობაში... მაგრამ დამნაშავედ ჩემს თავს არა ეცნობ. რატომ? ამის ასახსნელად საჭიროა შევეხო გავლილ მომენტებს, წარსულ ბრძოლას. შევეცდები ჩემს განმარტებაში ავმაღლდე იმ პრინციპიალურ პოზიციამდე, რომელზედაც იდგა საზოგადოებრივი ბრალმდებელი ქავთარადე, ვინაიდან სწორედ ეს პოზიცია შეეფერება დღევანდელ ისტორიულ მომენტს და ჩემი ერის ინტერესს.

საზოგადოებრივი ბრალმდებელი ამნაირად ხსნის ჩვენს ბრძოლას: ადამ და ევიდან იყო ბრძოლა მეორე და მესამე ინტერნაციონალთა შორის. საქართველოში მომხდარი აგვისტოს აჯანყება—ესაა ერთი ეპიზოდთაგან ამ ბრძოლაში. თუ ეს ასეა—გაურკვეველია რა კავშირი აქვთ ამ საქმესთ. ეროვნულ-დემოკრატებს, რომლებსაც ასე გულუხვად დაურიგა სახელმწიფო ბრალმდებელმა დახვრეტის მუხლები. ჩვენ ხომ არ შევდივართ არც ერთ ინტერნაციონალში და ჩვენი ინტერნაციონალი კი, ჯერ-ჯერბით, ყოველ შემთხვევაში არ შეგვიძნია? ცხადია, რომ ინტერნაციონალების ურთი-ერთობით ვერ აიხსნება საქართველოს უკანასკნელი ბრძოლა: არის რაღაც სხვა მომენტი, რომელსაც ბრალმდებლებმა, განზრას თუ უნდებლივ გვერდი აუხვიეს.

ქართულ პატრიოტულ ინტელიგენციის ის თაობა, რომელსაც ჩვენ ვეკუთვნით, პირველად ეზიარა ეროვნულ-პილიტიკურ მუშაობას მაშინ, როცა აქ მძვინვარებდა მეფეზე რუსეთი, რომლის წინააღმდეგ ქართველი ერი აშარმოვავდა ეროვნულ ბრძოლას მთელ მეტრამეტე და მეოცე საუკუნის სივრცეზე.

ჯერ კიდევ 1802 წ. ამხე ურდა კახეთი რუსეთთან საბრძოლველად, შემდეგ 1804 წ. მთიულეთის გამოსვლა, 1812-ში კახეთის მეორე აჯანყება. აღსანიშნავია ალექსანდრე ბატონიშვილის და სოლომონ მეფის თავდადებული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, იმერეთის აჯანყება 1820 წელ-, ში, ოცდა-ათიან წლების შეთქმულება.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ეროვნული იდეა საუკეთესოდ სახიერდებოდა მოწინავე პირთა სიტყვასა და საქმეში: გასახსენებელია მეორე დიმიტრი თავდადებული—დიმიტრი ყიფიანი, რომელმაც სამშობლოს გულისათვის რუსი ჯალათისაგან მოწამებრივი სიკვდილი მიიღო; შემდეგ დიდი ილია, რომელიც 50 წლის განმავლობაში იყო ეროვნულ მოძრაობის დიქტატორი და რომლის მოხევის სიტყვები: «ჩვენი თავი ჩვენვა უნდა გვეკუთვნოდეს»—გახდა ჩვენი ერის ლოჩუნგად.

მეოცე საუკუნეში მომხდარი, ეგრედ წოდებული რუსეთის პირველი რევოლუციის 1905 წ. არ იყო მოკლებულ, საქართველოს წიაღში ეროვნულ ელფერს. ამ საუკუნის დამდეგს ჩაისახა და ჩამოყალიბდნენ ქართული ეროვნული პოლიტიკური პარტიები, რომელიც შემოკრძნენ ეროვნულ დროშის გარემო. ძევლი სიძლიერით აბობოქერდა ქართველი ერე.

რუსეთის ყოფილ იმპერიის სივრცეზე მოხდა მეორე რევოლუციის

რომელიც სხვადასხვა ნაირად შევიგრძენით—შიდარუსეთსა და საქართველოში: იმ დროს, როცა იქ, რუსეთში სჯა-ბასი იყო შესახებ იმისა, თუ რა ხასიათი უნდა მისცემოდა რევოლუციას: იქნებოდა ის პოლიტიკური თუ სოციალური, ბურჟუაზიულ: თუ სოციალისტური, — ჩვენთვის ნათელი და უდავო იყო, რ ამ აქ რევოლუცია უნდა ყოფილიყო, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული.

ორი დღიდი თარიღი ახასიათებს რუსეთის რევოლუციას: 28 თებერვალი 1917 წ. და იმავე წლის 25 აპრილშერი.

ქართველებისათვის მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც პირველს, ისე განსაკუთრებით მეორე თარიღს, მაგრამ ჩვენ გვაქვს ჩვენი საკუთარი დღესასწაულები: 19 ნოემბერი 1917 წლისა, როცა შეიკრიბა ქართველი ერის პირველი ეროვნული ყრილობა და 26 მაისი 1918 წლისა, როცა გამოვაცხადეთ ჩვენი დამოუკიდებლობა.

ჩვენ ყველანი, განურჩევლად პარტიისა, ვიბრძოდით საქართველოს დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად. იყო ბევრი შეცდომები პოლიტიკაში, მათ გამოსწორებას ვწილობდით შინაური საშუალებებით. როდესაც ასე თუ ისე მიშუშდა საერთაშორისო კრიზისები, გაღვაწყვიტეთ დამტურებელი კრების დათხოვნა და პარლამენტის მოწვევა და ის იყო უნდა შევდგომოდით ნორმალ მუშაობას — თავს დაგვატყდა თებერვლის სუსტიანი დღეები.

რა მოხდა თებერვალში? მართლია, პირველად ზოგნი ამბობდნენ, საქართველოში ადგილი ჰქონდა რევოლუციას, მაგრამ ეხლა ამ ზღაპარს აღსრული იმეორები. ჩვენ ყველანი აქტიური მომქმედნი პირი ვიყავთ თებერვლის ამბების და კარგად ვიცით, რომ მაშინ იყო არა რევოლუცია, არამედ რუსეთის შეიარაღებული თავდასხმა საქართველოზე. რამდენად მართებული იყო რუსეთის ეს საქციელი? — ამის შეფასება საჭიროა, რაგან იქიდგანაა აგვისტოს დღეების დასაწყისის.

დამოუკიდებულება საქართველოსა და ძველ რუსეთის შორის დამყარებული იყო 1783 წლის ტრაქტატზე, რომლითაც საქართველომ ერთგვარად შეინიშვნა თავისი უფლებები, რუსეთმა კი მიიღო თავის თავშე გარკვეული ვალდებულებანი ჩვენს მიმართ. რუსეთმა დაარღვია ეს ხელშეკრულება, შემდეგ უარპყო კიდევ იგი; საქართველოს უფლება ჰქონდა გაუქმებულად ჩათვალი ტრაქტატი, რის გამო საქართველოს დაუბრუნდა ის მდგომარეობა, რომელიც ჰქონდა ტრაქტატამდე, ე. ი. სუვერენობა, რაც იცნეს რუსეთმა და ანტანტამ. ამიტომ რუსეთის 1921 წ. შემოსევა — იყო საქართველოს დამოუკიდებლობის შელახვა.

რომ ისტორიული უფლებებიც არ გვითვიდა, დამოუკიდებლობის გამოცხადების თვის — საკმარისის იყო გვესარგებლნა ზოგად-დემოკრატიულ პრინციპით ერთა თვით-გამორკვევისა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, სადაც შედიოდნენ ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები და სეიმის წევრები. იგივე აზრი გაი-

ზიარეს ყველა რევოლუციონურ ორგანიზაციებმა და, ბოლოს დამოუკიდებლობა დაადასტურა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც არჩეული იყო ოთხ-ფორმულიანი სისტემით. ასე გამოიწვა ჩენი ერი, და განა ამის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი შესახებ იმისა, რომ ერი არ იყო დაკითხული ამ საგნის შესახებ, როგორც ბრძანებს ბრალმდებელი ქავთარაძე?

საკითხავია, რამდენად მა ზოტებული იყო კომუნისტური რუსეთის შემოსევა თვით კომუნისტური თვალსაზრისით; ამისათვის კი საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორ უცემეროდა ეროვნულ საკითხს კომუნისტური პარტია, დღიდან მისი არსებობისა უკანასკნელ მომენტამდე.

ჯერ კიდევ 1896 წელს ლონდონის საერთაშორისო სოციალისტურმა კონგრესმა მიიღო დადგენილება, რომ დაჩაგრულ ერებს უნდა მიეცეთ უფლება თვითგამორჩვევისა. ეს დებულება გაიმეორა რუსეთის სოციალ დემოკრატიულ პარტიის პირველმა ყრილობამ ორი წლის შემდეგ, და იმავე პარტიის მეორე ყრილობამ იგი შეიტანა ცალკე მუხლად პარტიის პროგრამაში.

ლენინის თქმით მეორე ყრილობაზე ერთა თვითგამორჩვევას პგულისხმობდნენ ბოლოიტიკური და არა კულტურული მნიშვნელობით და ესმოდათ ის, როგორც ერის უფლება განცალკევებაზე.

თვით ლენინი ამავე შინაარსსა სდებს ამ ცნებაში: «ერთა თვითგამორჩვევა არის არა უფლება ავტონომიაზე, არა უფლება ფედერაციაზე, რადგან ჩენი შინააღმდეგნი ვართ კოველგვარ ფედერაციისა, ეს არის უფლება განცალკევებაზე»—ამბობს ლენინი.

რადგან «თვითგამორჩვევა» ბუნდოვანი ტერმინი იყო, ამიტომ ბოლშევიკებმა იგი შესცალეს ტერმინით: «უფლება განცალკევებაზე».

და ამ უფლებას ბოლშევიკები აძლევდნენ მცირე ერებს არა მარტო კაპიტალიზმის ხანაში, რევოლუციის და მის მიმდევნო მომენტებში, არამედ სოციალიზმის დროსაც. აი რასა სწერს ლენინი 1919 წელს ოქტომბერში თვითგამორჩვევის შესახებ წარმოებულ ჯამში: ჩენი ვამტკიცებთ, რომ სოციალიზმის დალატი იქმნებოდა ჩენი რომ უარგვეყო ერთა თვითგამორჩვევის განხორციელება სოციალიზმის დროსა—ო. ლენინმა კატეგორიულად მოითხოვა ჩაგრულ ერთათვის განცალკევების უფლების მინიჭება თებერვლის რევოლუციის შემდეგ, სახელდობრ 1917 წ. სექტემბერში. ხოლო ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა ხელის-უფლებამ ლენინის და აუდაშეიღის ხელის მოწერით 2 ნოემბერს 1918 წ., გამოსცა «ერთა უფლების დეკლარაცია», სადაც სხვათა შორის დეკლარაციალად აღთქმილი იყო: 1) «რესესის ერთა სწორუფლებიანობა და სუვერენობა და 2) რუსეთის ერთა უფლება თავისიუფალ თვითგამორჩვევაზე თვით განვერცხოებამდე და დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაფუძნებამდე».

საკითხს განცალკევების შესახებ, ბოლშევიკების აზრით, სწყვეტს თვითონ ჩაგრული ერი მარტო და არა—მჩაგვრელთან ერთად. როცა

ორმენის შეციაჩე ლრჯერ პატარაა და არ შეციამო, ამბობს ლენინი. და სწყვეტს ამ საკითხს ერთ და არა ესა თუ ის კლასი. მე-8 ყრო-ლობაზე ლენინმა ბუხარინის საპასუხოდ გნაცხადა: «ჩვენმა პროგრამამ არ უნდა იღაპარა კოს თვითგამორკვევაზე, რადგან ეს არაა სწორი. იმან უნდა სთქავას ის რაც არის, ყოველმა ერმა უნდა მიიღოს უფლება თვითგამორკვევაზე, ეს ხელს უწყობს მშრომელთა თვითგამორკვევას. ჩვენ თუ ვიტყვით, რომ არ ვცნობთ ფინეთის ერს და ვცნობთ ხოლოდ ფინეთის მშრომელთა მასებს, ეს იქნება სისულელე (პუსტიაკოვეიშა ია ვეშ). არ ცნობა იმისი რაც არის არ შეიძლება: ის თვითონ გაიძულებთ თავის ცნობას».

აგმარად, კომუნისტურმა რესევორმა თავისი შემოსევით შელახა საქართველოს უფლებები და მასთან ერთად მან ნაცარტუტად აქცია კომუნისტური პრინციპები ეროვნულ საკითხში.

შეიძლება, იმიტომ მოვიდა რუსეთი აქ, რომ საქართველოში ეგულებოდა ანტანტა? ერთ დროს აქ იყო ანტანტა, როგორც სმხედრო ძალა, ბათომის ღ ღქის ოკუპაციაც კი მათაზეინა მან, როსთვისაც ვებრძოდით. მაგრამ ამისთან მაგალითები განა მარტო პატარა საქართველოშია? უზარმაზაზე რუსეთში იგივეს არ ჰქონდა ადგილი, როცა სახალინის ნაწილის ოკუპაცია მათაზეინა იაპონიამ? მა ამის გამო ამერიკა და სხვები უნდა მისეოდნენ რუსეთს?

და ბოლოს, რუსეთმა ხელშეკრულება დაგვიდო, რომა აქ იყო ან-  
ტარტა. შემოგვესია მაშინ, რომა აქ ანტანტა არყოფნა და იმიტომ, რომ ის  
აქ არ იყო.

ან, იქნებ. იმითაა გამართლებული რუსეთის შემოსევა, რომ ვთომ ჩვენ ველებიდან ვრანგელს და დენიკინს? მაგრამ არც ვრანგელი და არც დენიკინი რუსეთის ზედაპირზეალაპ იყვნენ მაშინ, რომა ჩვენზე წამოვიდა რუსეთი. ასე, რომ ეს «საბუთობა» არ საპუთობა.

მაშ რად დაგვაპყრეს? არავთარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება რადეკის გულწრფელობაში, რც ცა ის სამ ინტერნაციონალის შეერთებულ კრებაზე აცხადებს: რუსეთმა იმიტომ დაიპყრო საქართველო, რომ უნდოდა უზრუნველყოყო ხავთის მიმღომი გზებით.

როცა პოლონეთი შეეცადა ერთგვარად შეელახა დანციგის კორი-  
დორის უფლებები მარკის საკითხში, დიდი აურჩაური მორთო რუსეთის  
კომუნისტურმა პრესამ: პოლონეთი სჩაგრავს დანციგსაო. თვით რუსეთი  
კი თავით ფეხებამდე ყლაპავს საქართველოს.

საბჭოთა რუსეთი წამოვიდა ჩვენს ლამაზი ლოცუნგებით, მაგრამ ამ ლოცუნგების ქვეშ ჩვენ დავინახეთ იმპერიალისტური ზრახვანი და საქმენი.

კომუნისტურ რესეფს დაპყრობის საქმეზი გვერდში ამოულგნენ ცვლა ჯურის რესები, როგორც აქ, ისე საზღვარ-გარედ...

გაერთიანებულ დამპყრობელ რუსეთის წინააღმდეგ როგორც ერთი კაცი, ადგა გაერთიანებული საქართველო, ქართველმა ერთა საკადრისი-პასუხი გასცა შემოსეულ მტერს... ჩვენს მატიანეში იქროს ფურცლებითაა შეტანილი ტაბახმელას, კოჯორის, გამის, მუხადირის, გაგრის, სოჭუმის, ათონის, საჯავახოს ბრძოლები და თუ მტერმა გვძლია—არა იმიტომ, რომ ერს არ უნდოდა ბრძოლა, როგორც ამას ბრძანებს საზოგადოებრივი ბრალმდებელი. მთავრობამ ვერ გამოიჩინა შორსმცვრეტელობა, არ მიიღო ღროჩე თადარიგი, ვერ გამოიყენა ერის ძალები.

დამარცხედა მთავრობა, და არა ერი. ძველმა მთავრობამ მიატოვა საქართველოს საზღვრები, ქართველმა ერთა ხმალი დროებით ქარქაშში ჩააგო და დაწყო ცდა მოვლენებს...

აქ შესდგა საბჭოთა მთავრობა ქართველ ბოლშევიკებისაგან.

საჭიროა მოვიგონოთ, როგორ იქცევოდნენ ქართველი ბოლშევიკები თებერვლის დღეებამდე?

1917 წელს ისინი დასწრენ ეროვნულ ყრილობას, 26 მაისის აქტს ისინი არ ინიარებდნენ და დაიწყეს სხვადასხვა კუთხეებში აჯანყებების მოწყობა, მაგრამ... ყველგან დამარცხედნენ. როცა მათ დაინახეს, რომ ქართველი ერი მათთან არაა, მაშინ წაკიდნენ საქართველოდან, გამოუძღვნენ რუსეთის ჯარს და ხდეთ შეუწყვეს საქართველოს დაპყრობას უცხო ძალის მიერ.

რამდენად მართებული იყო ქართველ ბოლშევიკების ეს ნაბიჯი თვით კომუნისტური თვალსაზრისით? სტალინი ამბობს: «მარქსიზმი და ეროვნული საკითხში»: „ერებს უფლება აქვთ მოეწყონ თავისი სურვილისამებრ, იმათა აქვთ უფლება შეინახონ ყოველაირი თავისი ნაციონალური დაწესებულება, როგორც მავნე, აგრეთვე სასარგებლო: არავის არ შეუძლია შეერიოს ძალით ერის ცხოვრებაშით“.

ლენინი იმავე აზრს გამოსატევამს ბროშიურაში «პროლეტარიატის ამოცანები ჩვენს რევოლუციისთვის»: —, ჩვენ უნდა ისე დავაყენოთ საქმე. რომ გერმანელ სოციალ-გამცემლებმა არ შესლონ სტევან, რომ ბოლშევიკები თავს ახვევენ მათ თავიანთ უნივერსალურ სისტემას, რომლის შეტანა ვითომდა შეიძლება წითელ-აზმიელთა ხიტებზე ბერლინში, ხოლო ეროვნულ თვითგამორკვევის უფლების პრინციპის უარყოფის თვალსაზრისით სწორედ ეს იწნებოდა“ - ო.

მაშ როგორ უნდა მოქცეულიყო კომუნისტური პარტია. თუ ის არ ინიარებდა დამოუკიდებლობას? ამაზე პასუხსა ვპოულობთ იმავე ლენინის წერილში: „ეროვნული თვითგამორკვევის უფლების შესახებ“: „თუ ნორჩები გერმანელთა ერის უმრავლესობა მონარქიას უჭერდა მხარს, ხოლო პოლოეტარიატი—ერებსუბლიკას, მაშინ ნარვეგიელთა პროლეტარიატის წინ შე, საერთოდ, იყო რესაბლებლობა: ან რევოლუცია, თუ მომწიფებული იყო სათანადო პირობები, ან დამორჩილება უმრავლესობისა-

დმი და ხანგრძლივი მუშაობა პროცეგანდით და აგიტაციით". აი, ოოგორ უნდა მოქმედობის კართველი ბოლშევიკები.

რუსეთ-საქართველოს ომის შემეგებ საქართველოში ხელისუფლების სათავეში ჩადგნენ ქართველი ბოლშევიკები. მოსალოდნელი იყო, ოომ ხელისუფლება შეეცდებოდა თავისი ფრთხილი პოლიტიკით დაევიზებინა ქართველ ერისათვის ამ ხელისუფლების წარმომშობი მომენტები. მართლაც ხელისუფლებამ განაცხადა. ოომ საქართველოში მოხდა ძალაუფლების შეპრეზიდენტის მაგიერ ქვეყნის სათავეში ჩადგნენ ქართველი მუშები და გლეხები, ხოლო დამოუკიდებლობა დარჩა კვლავინდებურად, იმ განსხვავებით კი, ოომ წინედ საქართველოს პენდა ფიქტიური დამოუკიდებლობა, ეხლა კი მას უქნება ფაქტიური და მოუკიდებლობათ.

რამდენად შეეგუა ამ დეკლარაციის შინაარს მთავრობის შემდეგი მოქმედება?

პირველ რიგში გააქრთიანეს რკინის გზა: ამას მოჰყევა მოვლენა, ოომელზედაც მე-12 ყრილობაზე მოგვითხრობს კოტე ცინცაძე: «იწერენ მუშებს როსტოკიდან»: 12-X დეპეშასთან № 20-221 დართულ დოკუმენტში აცნობენ, ოომ კავკასიის საჭიროებისათვის აუცილებელია აგენტები: საგზაო ნაწილისათვის I უფროსი, 3 მისი ამხანაგი, 34 ტეხნიკოსი, 22 უფროსი გზის ხელოსანი, 199 საამხანაგო სტარისტა, 6 წედამხედველი, 396 გზის დარაჯი, 317 ხელოსანი, 180 სამატარებლო დარაჯი, 4 ხიდის დარაჯი, 3 საწყიბის გამგე, 6916 რემონტის მუშა, 2209 შავი მუშა, 182 ასენიზატორი, 24 მილის მწერნდებლი, I სამის მწარმოებელი, 33 მწერალი, 14 უფროსი მოანგარიშე, 32 მოანგარიშე, 153 კანტორის გამგე, 110 მემანქანე, 16 უფროსი. 15.000 კაცამდე გამოწერილია ადგილობრივ ელემენტების შესაცელელად.

აი ოოგორ ებრძეის საბჭოთა ხელისუფლება თავად-აზნაურობას.

თავმჯდომარე: ბრალდებულო ჯავახიშვილო, გაძლევთ შენიშვნას: თქვენ უფროება არა გაქვთ მოიყვანოთ ისეთი საბუთები, რომლებიც არაა დართული საქმეში.

იას. ჯავახიშვილი: ციტატა, ოომელიც მოვიყვანე ამოღებულია მე-12 კონფერენციაზე ათვისიალ ანგარიშიდან. სახოგადო ბრალდებულება აქ არა ერთი საბუთი მოიყვანა იმისთანა, რომელიც არაა საქმეში. მაში მეოდინება, რომ შეზღუდული ვარ დაცის უფლებებში.

თავმჯ.: განაგრძეთ.

იას. ჯავახიშვილი—ამ ამონაშერიდან გამომდინარეობს ის, რომ საქართველოში თავადები და კაპიტალისტები კი არ შესცვალეს ქართველმა მუშებმა და გლეხებმა, არამედ ქართველი მუშები ჩამოაგდეს და მათი ადგილი დაჭირეს რუსმა მუშებმა. შემდეგ აზალმა ძალაუფლებამ დაიწყო ექსპერიმენტები ქართულ კკლესის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ გამოაცხადეს სინიდისის თავისუფლება, დაიწყეს ჩვენი რელიგიის

უდიერად დეგნა. ძალით დაპეტეს ქართული ეკლესიები, რიცხვით თვით გაზეთ «კომუნისტის» სიტყვით 1500: დაუკეტავი დარჩა არა უმეტეს ხუთ-მეტისა, აიძულებდენ მღვდლებს გარეჭილიყვნენ.

არ გვაკმარეს: შეურაცყვეს საფლავი დავითისა და კონსტანტინესი, რომელიც იყვნენ არა საეკლესიო, არამედ ეროვნული გმირები: ამით შეაგინეს ჩვენი ეროვნული გრძნობა. რად მიმართავდა ხელისუფლება რეპრესიებს საქართველოს მართმადიდებელ ეკლესიის წინააღმდეგ? იმიტომ რომ, სარწმუნოება არ ეგუება კულტურას? საფრანგეთი, ინგლისი ჩვენზე კულტურასანი ქვეყნებია, მაგრამ სარწმუნოებისათვის იქ ხელი არ უძლიათ.

იქნება ეკლესიას ადგილი არ უნდა ჰქონდეს საბჭოთა ქვეყნებში? აჩერბეიჯანში არცერთი მიწგითი არაა დახურული. სომხეთში, როგორც სჩანს მიასინკოვის წიგნიდან „სომხური პოლიტიკური პარტიის საზღვარგარეთ“, დაკეტილია მხოლოდ რამოდენიმე ეკლესია. საბჭოთა რუსეთში კი თითქმის ყველა ეკლესიები ლია, და გარდა ამისა, იქ სპეციალური სემინარიებია, რომლებიც მღვდლებს ამზადებენ.

ან შეიძლება, ამ დევნით უნდოდათ დაექშოთ სარწმუნოებრივი გრძნობა? მერე მიაღწიოს ამას?

ქართველმა ერმა ქართულ ეკლესიის დევნაში დაინახა ვოსტოკოვების მოვლინების საშიშროება, და მართლაც, რუსეთის „ცხოველი ეკლესია“ შეეცადა კვლავ გაბატონებულიყო აქ და საქართველოს ეკლესია გამოაცხადა თავის ეპარქიათ.

ჯერი მიღვა საქართველოს ტერიტორიაზე: რუსეთმა დაუთმო ან-გორას ჩვენი უძეველესი ტერიტორია: ბათუმის ოლქის ნაწილი, არტანი, და ამგვარად შეურიგდა მას საქართველოს ხარჯზე.

არ დასტოვეს უსაჩუქროდ სომხებიც. რუსეთმა, რომლის ფარგლებში შევიდა გასაბჭოებული სომხეთი, ისნა საქართველოს კუთხნილებათ მთელი ყოფილი თბალისის გუბერნია — 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით. საქართველოს დაპყრობის შემდეგ კი მისცეუ სომხებს თითქმის მთელი მორჩალის მაჩრა თვით ხრამამდე. რატომ? ლორი ისტორიულად ჩვენ გვეკუთნდა; ბუნებრივად ჩვენს საზღვრებში შემოდის; ეკონომიკურად — ამას კომუნისტებისათვის, როგორც მარქსისტებისათვის გადამტკრელი მნიშვნელობა აქვს — სავსებით საქართველოსთანაა დაკავშირებული. მართალია, სომხები სჭარბობენ იმ კუთხეში ქართველებს რიცხვით, მაგრამ, ეს უმრავლესობა ხელოვნურადაა შექმნილი რუსების მიერ, და შემდეგ თუ კი წმინდა ქართული სოფლები შეიძლება შევიდეს ლეთში, რად უნდა იყოს დაუშვებელი სომხური სოფლების დატოვება საქართველოს ფარგლებში.

აზერბეიჯანს ჩვენთან არაფერი სადაც არა კეონდა, უნდა გაგენაში-ლებინა მხოლოდ ზაქათალი . . . ძალათ მიაჩეჩს აზერბეიჯანს სილნალის

და თბილისის მაზრების ნაწილები. და ზედ დაურთეს დავით გარეჯის სა-  
ვანეც, რაიც არაფრით არა გამართლებული.

და ბოლოს ბუდუ მდივანმა მოსკოვში ოფიციალურად განაცხადა:  
 ისე მოვაწერ ხელი სომხეთ საქართველოს ხელშეკრულებაზე ტერიტო-  
 რიის შესახებ, რომ არც კი წამიკითხვებო. რამდენად სახელმწიფო აღმი-  
 გად მაქტეულა მდივანი, როცა თვალზუტულათ აწერდა ხელს ამისთანა  
 პირველასარისხოვან დოკუმენტს, სჩანს თუნდაც იქიდან, რომ ამ ათიოდე  
 თვის წინად ამიერ-კავკასიის ყველა ცენტრულებმა აღძრეს შუამდგომობა  
 რუსეთის წინაურ, რათა პილენგოვო შეერთებინათ აფხაზეთისათვის, რუ-  
 სეთმა რამდენჯერმე გამოზიგნა კომისია, გამოერკვია აღვილობრივი პი-  
 რობები, და დღესაც არ მიუციათ თავისი დასტური...-

აი როგორ იქცევა ის უზარმაზარი რუსეთი, რომელსაც, ერმაკებმა  
 ერთი ხელისმოქნევით შემოუერთეს უშველებელი ციმბირები.... და ჩვენი  
 პატარა საქართველო კი რა იოლად უთმობს სხვებს დიდ ტერიტორიას.  
 რომლის ყოველი გოჯი მორწყულია ჩვენი მამა-პაპათ სისხლით...

ებლა გადავიდეთ ფედერაციაზე. პირველ ხანებში გამოცხადდა სა-  
 ქართველოს დამოუკიდებლობა; და საბჭოთა საქართველო ბუნებრივია  
 „შეუკავშირდა საბჭოთა რუსეთს.

შემდეგ შეიქმნა არსართულიანი ფედერაცია, რატომ არ შევიდა სა-  
 ქართველო უშუალოდ საკავშირო ფედერაციაში?...

სტალინი ამის შესახებ ამბობს: „საჭიროა შენარჩუნება ამიერ-კავ-  
 პასიის ფედერაციისა, როგორც ეროვნული ხავის ორგანოსი (ე. ი. ზავი  
 საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის შორის ამიერ-კავკასიაში, და  
 ერთა შორის თვითეულ დასახელებულ ერთეულებში), ეს კავშირი ართ-  
 მეეს საქართველოს პრივილეგიურ მდგომარეობას. ეს პრივილეგიებია:—  
 თბილისი: როგორც რკინის გზის კვანძი, და ბათუმის ნავთსადგური, რომ-  
 ლებსაც უალრესად საჭიროებენ აზერბაიჯანი და სომხეთი, საქართველოს  
 კი შეუძლია ბოროტად და მეზობლებისათვის საზიანოდ გამოიყენოს ეს  
 მდგომარეობა“....

არმდენად სწორია ეს ამომწურავი არგუმენტაცია? ბაქოს ნავთი ესა-  
 ჭიროება უკრაინას, ხოლო აქედან განა გამომდინარეობს ის დებულება,  
 რომ უკრაინაშ და აზერბაიჯანმა უნდა შეკრან წინასწარი ფედერაცია?  
 რკინის გზა მისი კვანძები და ნავთსადგური გადავიდა საკავშირო ცენტ-  
 რის ხელში. ულოდიკონა არაა საქართველოს დაუწიოთ იმ პრივილეგი-  
 ების წარმევა. რომლებიც საკავშირო ცენტრსა აქვს?

ან იქნებ, ამიერ-კავკასიის ფედერაცია, მართლა, ერთა სოლიდარო-  
 ბის განსამტკიცებლად უნდა არსებობდეს? აზერბეიჯანში, სომხეთში და  
 საქართველოში ხელისუფლება მუსავატელებს, დაშაველებს ან ეროვ-  
 ნულ-დემოკრატებს რომ ჰქონ. ადათ, მაშინ ასე თუ ისე გასაგები იქნებოდა  
 კომუნისტების ეს მტკიცება. ვინაიდან ისინი ყოველთვის ამბობდნენ, ვი-  
 თომ ჩვენ ხელს ვუშლიდეთ თეროვნულ სოლიდარობას... მაგრამ საბჭოთა სი-

სტემის არსებობა და ამ ქვეყნების საერთო ფედერაციაში უშუალოთ შესვლა ნუ თუ არ უნდა ყოფილიყო, მათის აზრით, ერთა სოლიდარობის საკმაო გარანტია? მეტე, ჩამოაგდო ერთა სოლიდარობა ამ ფედერაციაში? არასოდეს ეროვნული შეუძლი და მტრობა არყოფილა იმ დონემდე ასული, როგორც ეხლა, და ამას თვით კომუნისტებიც არა მაღლავენ.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის დაარსებით საქართველოს წაერთვა არა პრივილეგიები, არამედ დამოუკიდებლობის უკანასკნელი ნასახი.

შესაძლებელია სთქვან, რომ ტერიტორიის ასე გამიჯვნას, ფედერაციას და სხვას მარქსიზმი და ლენინიზმი მოითხოვს...

საკმარისად გიცნობ ამ მიმართულებებს და გადაჭრით ვაცხადებ, რომ თქმა იმისა, ვითომ ან ერთი ან მეორე მიმართულება მოითხოვდეს რათა, ყველგან და ყველას ქართველი ერის ინტერესები ეჭირებოდეს, ცილის წამემა იქნება ერთისაც და მეცრისაც.

ვსთხვათ, რომ კომუნისტების თვალსაზრისით, ეს ასეც უნდა ხდებ ადეს, და ჩვენ ვცდებით, მაგრამ აი რას ამბობს თვით ფილიპ მახარაძე? „სახელმწიფო ძალა-უფლება არსებობს არა მარტო კომუნისტებისათვის არამედ ყველა მუშებისათვის და გლეხებისათვის.“

ყველა ამის შემდეგ აი რა მივიდეთ: ფილიპ მახარაძე ამბობს – „ამხანაგბო, ყველასათვის ცხადია როგორი თავისუფლება და დამოუკიდებლობა არას ეს. ჩვენ ხომ ერთი პარტია გვყავს, ერთი ცენტრალური ორგანიზაციებს, რომელიც ბოლოს და ბოლოს, ერთი სწევეტი ყველა რესპუბლიკებისათვის ყველაფერს და იძლევა საერთო დირექტივებს – თუ იმ რესპუბლიკაში, ეს ყველაფერი გამოიდის ერთსა და იმავე ორგანოსაგან; ასე რომ ამისთანა პირობებში თავისუფლებაზე, დამოუკიდებლობაზე ლაპარკი – თავისთვად ყოვლად გაუგებარი დებულება?“ და ბოლოს ფ. მახარაძე დაასკვნის „ამხანაგბო ჩვენ დავაწესეთ საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლება არა იმისათვის, რომ აგვეფეხებინა სახელმწიფო, რომელიც ასე თუ ისე იქ (საქართველოში) არსებობდა, არამედ, რომ მასები საბჭოთა სისტემისათვის გვიზიარებინა. გამოქვეყნებული იყო დამოუკიდებლობა და ჩვენ რაიმე უნდა გაგვეკეთობინა“ – ი.

ამ გვარად იმ ცვლილებათა დედა-აზრი, რომელიც მოხდა აქ თებერვლის შემდეგ, ფაქტიურად მდგრადი ერთობების არა ხელისუფლების შეცვლაში, რასაც მეორე ხარისხსოვანი მნიშვნელობა აქვს, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის გაცამტვრებაში. ამ გარემოებამ თვით ქართველ კომუნისტების რიგებში გამოიწვია გადამხრელობა ე. წ. „უკლინიზმი“, ქართველი ერი კი აიძულა დასდგომოდა აჯანყების გზას.

ხალხის გამოსულებს პირველ ხანებში ჰქინდა სტიქიური ხასიათი: ხალხმა დაინახა მტრის შემოსევის საშინელება და მისი შედეგები და დაიწყო სხვა და სხვა კუთხეებში თავისით აჯანყებანი.

აჯანყდა სვანეთი 1921 წელს. საქართველოს დამოუკიდებლობის კო-

მიტეტს აბრალებენ არა მარტო იმას, რაც მის დაარსებამდე მოხდა, არა-  
მედ იმასაც ჩასაც ლიკვიდაციის შემდეგ პქონდა აღილი. მაგრამ სვანე-  
თის პირველ გამოსვლაზე არას ამბობენ. აქ მოვისმინეთ მიზეზი სვანეთის  
აჯანყებისა: სვანეთს ძალას ატანდენ ქართველები არა ხართ, ამიტომ მოი-  
თხოვთ. რომ რუსეთმა უშუალოდ შეგირთოთ ვერ გამიგია: თუ სვანები  
ქართველები არ არიან, მით უმეტეს რუსები ვერ იქნებიან... და ან ჩოგორ  
ეწეოდა ანტიქართულ პროპაგანდას ქართული ხელისუფლება, თუნდაც  
კომუნისტური?

ბევრ ადგილას ტყეში პარტიზანული რაზმები გავიდნენ, სხვათა შო-  
რის ქაქუცა ჩოლოყაშვილიც... აქა სთვეს ვითომეს ჩოლოყაშვილი ჩვენი  
პარტიის კარნაზით გასულიყოს. ამ მტკიცებას აფუძნებენ სვიმონ ყიფია-  
ნის წერილობით ჩვენებაზე. მაგრამ მოწმე მიხეილ ჯავახიშვილმა კატეგო-  
რიულად უარპყო, რომ თითქოს ჩოლოყაშვილზე პარტიას ასეთი გავლენა  
მოეხდინოს

ჩოლოყაშვილი ხელისუფლებამ აიძულა, რომ ეს ნაბიჯი გადაედგა.  
ჩვენმა პარტიამ მის რაზმთან კავშირი მხოლოდ შემდეგ დაიჭირა. სახელ-  
მწიფო ბრალმდებელ, შეეცადა წარმოედგინა ჩოლოყაშვილი, როგორც  
მძარცველი, კაცის მკვლელი; გაიხსენა მისი წარსული: წინადა ადიუტანტი  
იყო, შემდეგ სასურასათო კომისარიატის რწმუნებულიოდა.

ჩემი ზნერბრივი მოვალეობაა განვაცხადე, რომ ქაქუცა ჩოლოყა-  
შვილი სამი წლის განმავლობაში მხოლოდ ეროვნული მებრძოლი და  
საუკეთესო პარტიზანი იყო. შიშველ-ტიტველი. მშეირ-მშეყურვალი ის  
3 წლის განმავლობაში იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათ-  
ვის, და როცა დამარცხდა, გახსნილი ალამით დასტოვა ჩვენი მიწა. წყალი.  
მაა პირნათლად შეასრულა მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

წინადაც ჩვენში ასე იყო. როცა მტერი შემოვვესეოდა ხოლმე, საუ-  
კეთესო მამულიშვილნი გაიხიზნებოდენ ტყეში და იქედან იწყებდნენ პარ-  
ტიზანულ ბრძოლას; მ მიგონეთ თუნდაც ის, რომ ლუარსაბ და სვიმონ მე-  
ფეები ერთი საკუნის განმავლობაში აწარმოებდნენ პარტიზანულ ბრძო-  
ლას და ამისა გამო შეუნარებულ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა.

თავისით აჯანყდა ხევსურეთიც. აქ ბრალმდებელი ამტკიცებს, რომ  
ხევსურეთის აჯანყება ნაკარნახევი იყო დამოუკიდებლობის და ეროვნულ-  
დემოკრატიულ პარტიის კომიტეტების მიერ, როცა სხანს სამფერის  
ბრძანებიდან N 1-ო. გამორკვე ელია, რომ სამფერი დავით გაჩნაძეა. საბ-  
რალმდებლონ დასკვნაში სწერია: „ვარდენ წულუკიძე აჩვენებს, რომ ბრძა-  
ნების N 1 ს შემუშავებაშ . მონაწილეობა მიიღ თ თვით იას. ჯავახიშვილ-  
მაო? გადავათვალიერე გამოიხის მთელი მასალა, და აღმოჩნდა, რომ  
ვარდენ წულუკიძეს არადერი ამისი მსგავსი არ უძევამს და ან... შესაძლ ე-  
ბელია მას სცოდნოდა ეს? აი ჩა სწერია სამფერის წერილში: „გასწყვიტე  
ყოველივე კავშირი ვარდენთან, რადგან იგი აქტივობის წინააღმდეგია“.  
განა დასაშვებია, რომ ვარდენის თანდასწრებით ასეთი რაიმე დაგვეწერა?



მიხეილ ჯავახიშვილმა აქ აჩვენა, რომ ჩვენ პარტიას არ გაუცია განკარგულება ხევსურეთში აჯანყების მოხდენის შესახებ, რომ სამფერს, კომიტეტის დაუკითხავად მიუწერია, და ამ წერილის არსებობაზე გავიგეთ განეთებიდან.

მერე.... სამფურის წერილმა გამოიწვია ხევსურეთის გამოსვლა? აქ ამბობდნენ ომ ხევსურეთის ამბებს ადგილი ჰქონდა 1923 წლის აგვისტოს მიწურულში და სექტემბრის დამდეგსაო... დანამდვილებით კი თარიღი არ იყო გამორჩეული. გასება ამ ნაკლ: საქართვილოს აჯანყება მოხდა 1924 წლის 28 აგვისტოს, ხევსურეთის გამოსვლა მოხდა 1922 წლის 28 აგვისტოს. ბრძანებაში N 1 სწერია: გაცნობებთ, ომ საქართველოს პარტიანთა მთავარი სამხედრო ოპერატიული შტაბის გადაწყვეტილების თანაშმად, ოკუპანტებისაგან საქართვლოს განთავსუფლების დროთ დანიშნულია ა. ჭ. სექტემბრის 27 ვიდრე 15 აქტომბრისა. ოპერატიულ გეგმას გამოსვლის დღის აღნიშვნით მიიღებთ ადგილობრივ სექტემბრის 20, დართულ პაკეტით. სექტემბრის 15-სთვის უთუოს წარმოადგინეთ თქვენი ოპერატიული მოსახლეებანი და სხვა....

აქედან ნათლად სჩანს, რომ სამფერის ბრძანება ვე ზე შეიძლებოდა ყოფილიყო მიზეზად ხევსურეთის გამოსვლისა, რამელიც მოხდა 28 აგვისტოს, რომ პირიქით ბრძანებაში ალკორდალული იყო ნაადრევი და სეპარატიული გამოსვლა. მიუხედავად იმისა, რომ სამფერის არ გაუზია განკარგულება ხევსურეთის გამოსვლის შესახებ, ჩვენ პასუხი მოვთხოვეთ დავით ვაჩაძეს, დამოუკიდებლობის კამიტეტმა კი გასაცა ბრძანება აჯანყების ლიკვიდაციის შესახებ; როგორც ეს ოვით საქმიდანაც სჩანს. ამგვარად გამორჩეუ ზია, რომ ხევსურეთი გამოვიდა ყოველგვარ გარნაზის გარეშე.

ასე დაიწყო ერის სტიქიური ბრძოლა.

დაპყრობამ და იმ ანაციონალურმა გეზმა, რომელსაც აწარმოებდენ აქ ხელისუფლებანი. აიძულა ქართვლი პოლიტიკური პარტიები გაერთიანებულიყვნენ აუსეთის საჭინააღმდეგო ბრძოლაში. გაცამტვერდა ჩვენი დამოუკიდებლობა, და დაიწყეს განუკითხვად ქართველი ხალხის სვრეტა, გარეშე ძალამ ჩვენ თავს მოგვახვია შეიარაღებული ბრძოლის იდეა... ბრძოლა დამთავრდა აგვისტოს-სექტემბრის დღეებით. ფაქტიური მხარე მე გავაშვებ ჩემს პირველ სიტყვაში. აღარ გავიმეორებ. .

ბრალმდებელი თავს გვასხვევენ ინტერვენციის მომხრეობას, ამტკი-  
ცებენ, ომ ვიღაც სხვა გრიგარნახებდა... გვაბრძოლებდა ... აქ დამცვე-  
ლებმა აძლევულავად დამტკეცეს, ომ ინტერვენციაზე არავინ სცდი-  
ლობდა, და მას ადგილი არცა ჰქონია.

პირადთ მე დავკამაყალფილდები მხოლოდ იშით, რომ წავიკითხავ მე-  
მორანდუმს, რომელიც მიმართული იყო ინგლის-საბჭოთა კონფერენციის  
სახელშე და ხელს ვაწერდით კოტე ანდრონიკაშვილი და მე. მემორანდუმი  
თავდება ამნაირად: „დამოუკიდებლობის კომიტეტი სთხოვს სახელმწი-  
ფოთა წარმომადგენლებს, რომლებიც დაესწრებიან გენუის კონფერენ-



ციას, მიიღონ მხედველობაში ეს განცხადება და წინადადება მისცენ რუსეთის მთავრობას დაუყონებლივ გაიყვანოს საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის საოკუპაცია ჯარები და ამით საშუალება მისცეს ქართველ უმრავლესობას სურვილისამებრ ამოიჩინოს ერის ნებისყოფის მთავრობა“...

ამით ზედმეტად მტკიცდება, რომ მოვითხოვდით არა ევროპის ჯარების გამოგზავნას, არა ინტერვენციას, არამედ რუსეთის მიერ საქართველოს ინტერვენციის მოხსნას. აյ დაიღვარა ჩვენი წმინდა ქართული სისხლი და არა სისხლი ზანგებისა, ფრანგებისა, ინგლისელებისა.... ხანგრძლივი ბრძოლის პროცესის განმავლობაში ქართველები გაუწყვეტელის ხალი სით მიღიოდენ ციხის გზით მეტეხისაკენ, გადასახლების გზით—რუსეთასაკენ, ტანჯვის გზით—საბურთალოსაკენ.

ამ ბრძოლაში ყველა ქართველები ერთად ვიყავით: მუშები, გლეხები, ბურუუზია და სხვა...

საზოგადო ბრალმდებელმა ბრძანა: აჯანყება, რომელსაც დამოუკიდებლობის კომიტეტი მესვეურობდა, პროგრესიული მოვლენა არ იყოვო. რატომ?

შიომღვიმის მონასტრიდან დაიწყეს აჯანყებაო: სად გაგონილა მონასტერი და რევოლუციურია, სთქვა მოქალაქე ფუჭავამ. ამ სიტყვებში რამდენიმე შეცდომაა. აჯანყება ჩვენ სხვა აღგილიდან დავიწყეთ, და არა შიომღვიმიდან. ჩვენ ვიყავით არა შიომღვიმის მონასტერში, არამედ ტყეში, მის მახლობლად. რუსეთში ეროვნული მოძრაობის კერად ხანგრძლივად ითვლებოდა ტროიცეპო-სერგის ლავრა. ამ უამაღ მსოფლიო რევოლუციურის ციტადელი კრე მლია, რომელშიც ერთი კი არა რამდენიმე მონასტერია. ჩემს აზრით არ უნდა პქონდეს გადამჭრელი მნიშვნელობა იმას, თუ საიდან დაიწყობა რევოლუცია. გასახსნებელია, რომ ოქტომბრის დიდი რევოლუცია დაიწყო იმ პატივცემულ დაწესებულებიდან, რომელსაც ერქვა... (სიტყვა აკლია).

აჯანყება არ იყო მასიურიო... ბრალმდებელი ქავთარაძე ბრძანებს: გამოსვლები გურიაში, სენაკეთში, იმერეთში მასიური იყო, მაგრამ სამეგრელოში კი არაო, რადგან სენაკი 15-მა კაცმა აიღო. ეს არაა სწორი. სენაკში წავიდა 200 კაცი, აიღო კი პირველმა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდა 40 კაცი. კონსპირაციის მოსახრებასაც რომ თავი დაგანებოთ, რა საჭირო იყო ათასები, თუ სენაკს 40 კაცი აიღებდა და ისიც ყვირილით. ხალხი იმ წამსევ ადგა უჩვეულო ენტუზიაზმით, შეიარაღდა და ოთხი დღის განმაფლობაში რამდენიმე ათასი კაცი უძრევებად ებრძოდა რუსის ჯარს.

მოქალაქე ფუჭავამ სთქვა: ხალხმა თლონდ კი რაიმე სანახაობა დაინახოს და თამამად გამოვაო. არც ეს არის მართალი. 1921 წ. 25 თებერვალს თბილისში შემოიჭრა რუსეთის ჯარი, ქართველები კარზე კი არ გამოვიდნენ, და ენტუზიაზმით კი არ შევდნენ, არამედ სახლებში ჩაიკეტ-

ნენ და გულ ამოსკვინით ტიროდნენ. დასავლეთს საქართველოში გამოსვლებს უდავოთ მასიური ხსიათი ჰქონდათ.

აღმოსავლეთ საქართველოში მოხდა ნაწილობრივი გამოსვლები, და თუ აჯანყება აქ გამარჯვებით არ დაგვირგვინდა ჭიათურის ნააღრევი გამოსვლით აისხნება და განსაკუთრებით, გამცემლობით. ხალხი კი მთლიანა აუზნენთან იყო.

ბოლოს, განა შეიძლება ეჭვის ჟეტანა აჯანყების მასიურობაში როცა მსხვერპლი ათასობით ითვლება?

სულ ცოტა რომ ვსთქვათ, რამდენიმე ათასი ქართველი ხომ გამოვიდა აჯანყების დროს? და როცა მასიური ბის ასეთი დიდი პრეტენზიებით მოდიან ბრალმდებელნი, რატომ აფიშებებათ, რომ 25 თებერვალს 1921 წ. მათ გვერდში ხუთი ქართველიც არ ჰყოლიათ, და საქართველო მათ რუსის ჯარმა დაუპყრო.

ან შეიძლება იმიტომ არ იყო ჩვენი ბრძოლა პროგრესიული, რომ აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო ყოფილ პრივილეგიურ წოდების ხალხმაც? ჩვენი აჯანყება, უმთავრესად მოახდინა, გლეხობამ, როგორც ამას თვით სტალინი ამოშებს, მაგრამ არც მუშები და ყოფილი თავადები და აზნაურები იყვნენ, რასაკვირველია ამ ბრძოლის გარეშე.

აჯანყებულებს ჩაქციონური ლოზუნები ჰქონდათო: ერთს ადგილას მათ შოთა რუსთაველის ძეგლი დამტერიესო, მეორე ადგილას გამოაქვეყნეს ლოზუნგი „გაუმაროჯს ქრისტიანობასო“... ამით საზოგადო ბრალმდებელმა იმ პრინციპიალის გადაუხვია, რომელიც ახასიათებდა მის პოზიციას. როგორ? რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის დროს არა ერთი ძეგლი, არამედ მთელი რუსეთი დაანგრიეს... „გრაბ ნედელია“ და „ლიუბ ნედელია“ შემოილეს... მერე... ამზით იყო ოქტომბრის რევოლუციის დედა-აზრი? აგრეთვე საქართველოში: განა ძეგლის გატეხა და არაქრისტიანობის დაბეჭავება იყო ჩვენი მიზანი? ეს ხომ უბრალო ექსპესები იყო, ნაირალების საქმე, და როგორც გამონაკლისი ვერ დაახასიათებდნენ ჩვენს რევოლუციას. ჩვენი ლოზუნგი იყო: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, და განა ეს რეტროგრადობის მაჩვენებელია?

იტყვანი: როდესაც დამოუკიდებლობის მოსახლეობად დაბექავებული ერები ებრძებან იმპერიალისტურ ერებს, ეს პროგრესია, როცა დაზიანებული ერები ებრძებან ძლევამოსილ საბჭოთა რუსეთს ეს რეგრესია. ნამდვილად კი ბრძოლა დამპყრობელთა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ვინც უნდა იყოს ეს მხაგვარელი: შავი თუ წითელი იმპერიალიზმი ღიადი დადგებითი, პროგრესიული მოვლენაა.

აი რატომ არ ვთვლი ჩემ თავს დამნაშავეთ.

მე გავათავე.

ჩვენ ვიმრბოდით დამოუკიდებლობისათვის: აჯანყება წავაგეთ და ისინი, ვინც ამ აჯანყებას ვმესვეურობდით წავალთ გოლგოთაზე.

მაგონდება ერთი არაბული ლეგენდა:

მხემ აღარ გამოანათა და დაიკარგა;

სიბრძლეს ვერ შეეგუა ერთი ჩიტი. რომელმაც მიწნად დაისახა ქვეყნიერებისათვის მჩე დაებრუნებინა: : მ მიზნით მან დაიწყო ფრენა სულ ზეით და ზეით და მიაგნო მჩეს. აღარ მახსოვს, მისცა თუ არა ჩიტმა მჩე ქვეყნიერებას.... თითონ ჩიტი კი დაილუპა... ის დაიწვა მჩეს სხივებმი...

## ერთი უწესოების შესახებ.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარ-გარეთის ცენტრ ლური ბიურო ვერ დასტოვებს უყურადღებოთ იმ გარემოებას, რომ ბ.პ. გვაზავა და ზურაბი შვილი შევიდენ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სახელით იმ ორგანოში, რომელსაც წინეთ ეროვნული ცენტრი ეწოდებოდა და რომლიდანაც პარტია მთლიანად გამოვიდა ამა წლის გაზაფხულზე.

ამ პირთა ასეთი მოქმედება საგანგებო დისპიცლინარული სამსჯავროს საგნად გახდება, ხოლო რომ „ეროვნულ ცენტრს“ აქედანვე მიეცეს ასეთი უმსგავსო სიყალის შესწორების საშვალება, ერ.-დემ. პარტიის ცენტრალური ბიურო იძლევა ქვემოთ განმარტებას ამ საგანგებ და მოითხოვს, რომ ამ პირებს აესნას ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყველა ტიტრები, უკეთუ ისინი მომავლისთვისაც იქნებიან დატოვებული „ცენტრის“ რაიმე სამსახურსა და თანამშრომლობაში.

ი) ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მონაწილეობა ეროვნულს ცენტრში ხდებოდა საკმაოდ გარკვეულს პირობებში. ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მიერ იგნაციებოდა ამ ცენტრში წარმომადგენელი და არასოდეს ყოფილა ისეთი წესი, რომ ამ ცენტრში შესვლა ყველას შეძლებოდა, ვინც კი ამს მოისურვებდა და ისიც პარტიის სახელით. როდესაც ჩვენმა ორგანიზაციამ გამოიწვია ამ ცენტრიდან ბ. გვაზავა გასული წლის ბოლოს, მან არგანიზაცია დასტოვა და ისე მოინდომა ცენტრში შესვლა. ცენტრმა ეს არ შეიწყნარა სწორედ იმ საბუთით, რომ ცენტრში წარმომადგენელს ჰქონის თუ უკანვე იწევეს ერ.-დემ. პარტიის ის ორგანო, რომელიც შესულია შეთანხმებაში სხვა პარტიიებთან და მთავრობასთან. ასეთი იყო იმ ხანად „ცენტრის“ და კერძოდ ბ. ნოე უორდანისა შექედულება. ხოლო ბ. გვაზავას ცენტრიდან გამოწვევის განცხადება თვით ბ. ზურაბიშვილის მიერ იყო დასაბუთებული და ხელმოწერილი.

ამ ჟამად ეს პირები, ორგანიზაციიდან გაქცეული, თავის-თავს თვითონეე ჰერცვინიან ცენტრში და ეს უკანასკნელიც მათ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლების ხარისხს ანიჭებს.

ამ აღმაშფოთებელ სიყალბეჭე ეს პირები კიდევ მეორე ასეთსავე სიყალბეჭე უმატებენ. ისინი სცემენ გაჩერთს, რომელ საც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი ორგანოს სახელს არქმევენ და მას „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანოდ“ ასადებენ. ჩვენს ორგანიზაციების უკვე ერთი წლით ადრე პქონდათ დაწყებული გამომცემლობა, რომელსაც „საქართველო“ ეწოდებოდა. ამა წლის დასაწყისიდან დაწყებული იყო მუშაობა საზღვარ-გარეთის ორგანიზაციების მიერ პარტიული ორგანოს გამოსაცემად, მაგრამ ეს საქმე ჩვენი ორგანიზაციების გაერთიანებას უცდიდა. ეს არავისათვის არ იყო საიდუმლო და, ის ბ.ბ. გვაზავა ზურაბიშვილმაც უწყიდა. როდესაც ეს გაერთიანება მოხდა, მთავრობის სტამბაში არა ჩვეულებრივი სისწრავით იქმნა აწყობილი გაჩერთი ბ.ბ. გვაზავა-ზურაბიშვილისათვის და ამ გაჩერთ „საქართველო“ დაერქვა. ჩვენ არ გვსურს ვითიქრაზ, რომ ეს ყოვლად უწესო საქმე „ცენტრის“ მიერ არის მოწყობილი ამ პირებთან შეთანხმებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ არც ერთი, თავის ლიტერების დამცველი საზოგადოებრივი ორგანიზაცია არ იყისხებს იმის დადასტურებას, რომ პარტიიდან გაქცეულ სამიოდე პიროვნებას უფლება ქონდეს თავისთვის პარტიად გამოაცხადოს და თავისი გამოცემა პარტიულ ორგანოდ მონათლოს. ყველივე ამასთან გვაქვს პატივი გამცნოთ ცენტრს, რომ გაჩერთ „საქართველოს“ თავის არსებობის მანძილზე მრავალი რედაქტორი, ხელმძღვანელი და რედაქტორის წევრები ჰყოლია, ხოლო არც ბ. გვაზავა და არც რომელიმე მისი ამყოლი ამ პირთა შორის ერთი დღის განმავლობაშიც არ ყოფილა.

ჩვენ არ ვარგავთ იმედს, რომ ცენტრი გამ იჩენს იმდენს რიგიანობას, რომ ამ განმარტების შემდეგ გმოსასწორებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის უაღრესად შემლახველ სიყალბეჭებს და ამ პირებს მოუქებნის ისეთს სახელსა და სამოსელს, რომელიც მათ უფრო შეეფერებათ. ხოლო ცენტრს რომ არ გაუქნელდეს გამოსწორება ასეთი უწესოების სხვა და სხვა პოლიტიკური მოსახრებების გამო, რომ ვითომ ბ. გვაზავას პოზიცია უფრო ლეგალისტურია მთავრობის მიმართ, იდოვე მთელი პარტიისა, და რომ ვითომც ასეთი მისი პოზიცია უფრო გამოსადექია საქართველოს იურიდიული უფლებების დაცვისათვის და სხვა, ცენტრალური ბიური აქვე იძლევა ამ საგანზედ დასაბუთებულს განმარტებას, რომელიც შეადგენს ნაწილს იმ მასალებისას, რომელიც გადაცემა საგანგებო სამსჯავროს.

როდესაც ბ. გვაზავა დაბრუნდა საქართველოდან 1922 წ., სადაც ის წავიდა საბჭოთა რესერტის პასპორტით, მან წევდეგი განცხადება შეიტანა ჩვენი პარტიის აქაურს ხელმძღვანელ ორგანოში:

„დემოკრატიული პარტიის კონსტანტინოპოლის კომიტეტს  
 განცხადება

## I

ღიღ გაუგებრობას იწვევს ჩვენი დამოკიდებულება ბოლშევიკებ-  
 თან. ჩემი შეხედულება ასეთია:

საქართველო არ არის არც მე-2 და არც მე-3 ინტერნაციონალი. სა-  
 ქართველო საქართველოა, ერთი მთლიანი სახელმწიფო. მის განთავისუფ-  
 ლების საკითხს ჩვენ ვერ დავაყენებთ კლასობრივ ან პარტიულ ბრძოლის  
 ნიადაგზე. ჩვენ უნდა გავანთავისუფლოთ საქართველო რუსეთის მფლობე-  
 ლობისაგან და არა ამა თუ იმ პარტიისაგან. თავისუფალ საქართველოში  
 ყველასათვის უნდა იყოს დაცული თანასწორი თავისუფლება, ვინც უნდა  
 იყოს იგი—ბოლშევიკი თუ მენტშევიკი. მე ვიცი, საქართველოში ბევრია  
 კომუნისტები, რომელიც ნატრობენ საქართველოს განთავისუფლებას  
 რუსეთისაგან და მზად არიან იბრძოლონ ჩვენთან ერთად. საქართველოს  
 ბედს ჩვენ ვერ დავამყარებთ მხოლოდ მენტშევიკების ტაკტიკაზე და პოლი-  
 ტიკაზე, რომელმაც უგვევ მოუტანა ჩვენს ერს აურაცხელი ზიანი. ჩვენი  
 დროშა უფრო ვრცელია და მეტი ლირებულებისა. ამ ტრაშის ქვეშ შეი-  
 ძლება თავი მოიყაროს ყველამ, ვინც უნდა იყოს იგი—ბოლშევიკი თუ  
 მენტშევიკი, ბერი თუ ერი. ამიტომ იბადება საკითხი: შეიძლება თუ არა ვი-  
 ქონით კონტაქტი ზოგი ერთ ქართველ კომუნისტებთან, თუ საჭიროა  
 შეეწყვიტოთ ყოველი კონტაქტი, ყოველი ნაცნობობაც კი?

მე ვთხოვ კომიტეტს დასავას ეს საკითხი და გამოიტანოს თავისი  
 დადგენილება, რომელსაც საჭიროდ დაინახავ.

## II

გაუგებრობას იწვევს აგრედვე „დეკლარაცია საქართველოს პოლი-  
 ტიკურ პარტიათა კონფერენციისა“, მიღებული პარიზში 15 მარტს  
 1922 წელს.

ეს დეკლარაცია საგვებით მისაღებია, როგორც ერთსულოვანი გა-  
 მოსვლა რუსეთის მფლობელის წინააღმდეგ. ეს უდავა. მაგრამ ამ დეკლარაციაში არის მეორე მუხლი, რომელიც  
 ამმობას: „ყოველნაირი კონცესია, გაცემული საოცენაციო მთავრობის გ-  
 რობის მიერ, არავერს ავალებს ქართველ ერს და მოკლებულია  
 ყოველს ძალასთ“.

ამ რეზოლუციაში ყურადღებას იქცევს ორი მხარე, იურიდიული და  
 პრაკტიკული. იურიდიულად ის არ არის სწორი. საქართველოში არ არი  
 ოკუპაცია. რუსეთის შემოსევამ შეზღუდა არა მარტო ფაქტიური სუვე-  
 რენობა საქართველოსი, არამედ თაანგრია მთელი მის, უფლებრივი და  
 ეკონომიური წესწყვბილება, მან განდევნა მთა რობა, დაბყრია ტერი-  
 ტორია, გაუქმა კანონები, განდევნა მოხსელები. ეს ოკუპაცია კი არ არის  
 არამედ ანექსია, წმინდა რაპურობა. ამიტომ იურიდიული საფუძველი არ არის

ზოლუსიისა შეცდომაა, ის ვერავის შეაშინებს, განსაკუთრებით ვერ შეა-შინებს უცხოელ კაპიტალს, რომელსაც შიში აქვს საზოგადოთ ბოლშე-ვიყებისა და არა ამისთანა რეზოლუციებისა. მაგრამ ჩვენთვის უფრო მნი-შვენელოვანია პრაქტიკული შედეგები. პრაქტიკულად ეს რეზოლუცია აშინებს მხოლოდ ქართველებს და ხუთავს მათ ენერგიას, ენერგიას საერ-თაშორისო ბრძალაში. აი ფაქტურებიც: გასულ მარტს მე ვიყვავი საქართვე-ლოში და ვიცი, იქ იყვნენ კონცესიების საშონელად: ა) პოლკოვნიკი ბიალი—დირექტორი შეღლის კომპანიისა; ბ) მისტერ სტრადერს. —დი-რექტორი ერთი ინგლისელი კომპანიისა, რომელსაც, ამბობენ, ვითომდა ორმოცდათი მლიონი გირგ. სტრერ. აქვს გადადებული კონცესიების შესაძენადო; გ) სოლომონ ეიდე დირექტორი ნორვეგიელი საზოგადოე-ბისა—, ელექტრიკების ინდუსტრიე გენერალშავთ”; დ) ვილაც ქრისტიანსე-ნე კიდევ ნორვეგიელი საზოგადოებისა და სხვანი... სომხები, ურიები, რუ-სები—ვინ არ გინდა, ყველა იბრძეის და ცირილობს მოიღეს ფეხი საქარ-თველაში. თუ ამ ხალხმა ჩაიგდო ხელში ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე, ჩვენ ჩვენი დეკლარაციით ვერავერს უშველით, ინგლისს, ან ნორვეგიას ჩვენ-თვის ომს არავინ გამოუტხადებს. ქართველობა კი ამ მსოფლიო ბრძოლა-ში ჩემად არის... ჩვენვე ბრძნებით!

აქ დიდია ისტორიული პასუხისმგებლობა, განსაკუთრებით ჩვენი პარტიისა. მე ვთხოვ კომიტეტს ჩაკვირდეს ამ საკითხს და აქაც გამოი-ტანოს შესაფერი დადგენილება, რომელსაც საჭიროთ დაინახავს. ორივე დადგენილება გთხოვთ მაცნობოთ და ეს ჩემი განცხადება საქმეში ში ჩა კერძო და შეინახოთ.

### კომიტეტის წევრი გიორგი გვაჩავა.

ამ განცხადების შინაარსი იმდენად ნათელია, რომ ის კომენტარიებს არ საჭიროებს. ჩვენ აქ შევეხებით მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც ეხება საქართველოს საერთაშორისო სახესა და მთავრობის იურიდიულ მდგო-მარეობას საგარეო მუშაობაში. ჩვენი პარტიისა და ყველა სხვა მებრძოლი წრების პოზიცია იყო და არის, რომ საბჭოთა რუსეთის შემოსევას 1921 წელს არ მოუსპია საქართველოს საერთაშორისო უფლებრივი მდგომა-რეობა. ამის საბუთათ სხვათა შორის იმასაც ვიყენებთ, რომ ზოგიერთ სა-ხელმწიფოებში დღემდე არსებობს ჩვენი ლეგაციები. ბ. გვაჩავა კი ამტკი-ცებს, რომ ეს ასე არ არის, რომ რესერვმა საქართველოს ანექსია მთავრინა და მით მოსპო მისი საერთაშორისო მდგომარეობა. ბოლშევეგიური რუ-სეთიც ვერ პტერდავს იმის მტკიცებას, რომ მან წაართვა ქართველ ერს სუ-ვერენებული უფლებები, ის არწმუნებს ყველას, რომ საქართველო სუვერე-ნული რესპუბლიკა და თავის ნებაყოფლობით არის შესული საბჭოთა ფედერაციაში. ბ. გვაჩავა მათ მეტს პტირდება და უმტკიცებს, რომ მისი მდგომარეობა საქართველოში არის არა მარტო ფაქტური, არამედ აური-დიულიც. ასე რომ თუ ჩვენ საქართველოს მდგომარეობას მსოფლიო ომის დროის ბელგიის მდგომარეობას ვადარებთ, ბ. გვაჩავა ამას არ იშენარებს



და საქართველოს ანექსია მომხდარ ბოსნია-ჰერცოგოვინისა და პორტ-ალტურის მდგომარეობას უტოლებს. ამის შემდეგ წედმეტია საქართველოს მთავრობის რაიმე უფლებრივ მდგომარეობაზედ ლაპარაკი.

ბ. გვაჩავა ამასაც არ სჯერდებოდა და თავის ასეთს შესხედულობას საქართველოსა და მისი მთავრობის შესახებ პრაქტიკულადაც ანალდებდა. ის პერიგობრა ემიგრაციაში, რომ საჭიროა შეთანხმება ბოლშევიკებთან, რომ საჭიროა მათი ქვეშევრდომობის მიღება და სხ. მაგრამ როდესაც მან ვერავინ იძოვნა ასეთი აზრების თანამოწიარე, თვითონაც ვერ გაბედა ასეთი ნაზიჯების გადაფენა. ხოლო რაც მექება მენტევიკურ მთავრობას, ის აზდილად ქადაგებდა 1922-1923 წლებში მისი ჩამოგდების და სრულიად გაბათილების მიუტილებელ საჭიროებას. ამ აზრს იგი ასაბუთებდა: მაგ მთავრობას აღარავითარი უფლებრივი საფუძვლებიც აღარ შერჩა და თავის ფა უცხურით ტყვილად აღიზიანებს ბოლშევიკებსო, ხოლო ტყვილი დაპირებითა და იმედებით შეცდომაში შეყვას და აღალატიანებს ქართველ ერსო.

ყოველივე ამის შემდეგ სავსებით ბუნებრივია კითხვა, თუ როგორ მოხვდა ეს პირი ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში პარტიულ ორგანოებში და პარტიის პოლიტიკურ მუშაობაში. ბ. გვაჩავას გარეგნულად წესიერად ეჭირა თავი შემდეგი წლების განმავლობაში, ხოლო ამ დროის ზოგიერთი მისი მოქმედების შესახებ პარტიამ არაფერი იცოდა. პარტიამ კვლავ გარია ის თავის მუშაობაში და ასეთი ლმობირება მისდამი იმით იყო გამოწვეული, რომ ის უფრო მცხოვანი თაობის წარმომადგენელი იყო და მის ზალარის წედმეტი ფასი დაედვა. მართალია ის არასოდეს ყოფილა არც პარტიის „დამარასხებლებში“ და არც პარტიის „აღმშენებლების“ მეთაურებში, მაგრამ ის აქტიური მონაწილეობის იყო ჩვენს პარლამენტა-რუს მუშაობაში და უცხოეთის ორგანიზაციაც შეეცადა მისთვის გამოენახა მისი შესაფერი საქმე, სადაც არც დიდი გამბედაობა იყო საჭირო და არც განსაკუთრებული ხასიათის სიმტკიცე. მალე გამოირკვა, რომ ის ასეთს საქმეშიც არ არის საქმეონ პარტიისათვის და ისიც გამოწვეული იქმნა ინტერპარტიული საბჭოდან და მასთან ერთად დაისა საკითხი მისი ჩამოშორებისა პარტიულ მუშაობისაგან. ბ. გვაჩავამ დაასწრო და თვით წავიდა ორგანიზაციიან, რომ ამის შემდეგ დაეწყო ზემოდ მოხსენებული მუშაობა პარტიის სახელით და პარტიის წინააღმდეგ.

ამ რიგად ეს ვაჟაბატონი ერთად-ერთი იყო ჩვენს პარტიაში, რომელიც ასე უარყოფით უყურებდა საქართველოს სახელმწიფოებრივ უფლებებს 1922 წლის შემდეგ და მომხდას უპირებდა იმ მთავრობას, რომელზედაც ის ეხლა ლოცულობს. ის პირველი იყო, რომელიც საქართველოში შეიკრა „საბჭოთა“ პასპორტით, მაშინ, როდესაც მთელი ჩვენი პარტია უშმიერს ბრძოლაში იყო ჩამბეჭდი საქართველოს სახელმწიფოებრივი მისი ასაღენად და მისი მეთაურები კიდევ წოგი ციხეში იყო და წოგი კიდევ აქტიურ არალეგალურ ბროლას ხელმძღვანელობდა. ხოლო ამ უამად ეს

ვაკებატონი სულ ამ ბრძოლებსა და ფრონტებზედ ლაპარაკობს და ისედაც ვაკადნიერდა, რომ ამ ბრძოლებში გათხრილ საფლავებისა და უსაშინელეს პირობებში მებრძოლ პარტიის სახელითაც გვევლინება.

ჩვენმა პარტიამ ათასობით გამოიყანა მტკიცე, ურყევი და თავდა-დებით აღჭურვილი მამულიშვილი და მათი საფლავებით აღქსილია ჩვე-ნი ქვეყნა. ამგვარი თვისებებით აღჭურვილ ძალების ასეთი შერჩევა უთუოდ გაუგებარი იქნებოდა და არა ბუნებრივი, უკეთუ, მათთან ერთად პარტიას თითო-ოროლა გვაზავები არ გამოსჩენოდა. ასეთები პარტიას ვერ წააქცევენ. მაგრამ ისინი კი, ვინც ბ. გვაზავასთანა პირებს პარტიას წაუყენებენ წინ, მხოლოდ თავის თავს გააბახებენ და შეარცხვენენ.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის  
საზღვარ-გარეთის ცენტრალური ბიურო.

---

## მინაური მიმოხილვა

ბ. რ. არსენიძის სიტყვა.

როდესაც კ. ჩხეიძე მოკვდა, სოციალ-დემოკრატიული „ბრძოლაც“ და საერთო ფრონტის პირაკრული გაწერთ „დამოუკიდებელი საქართვე-ლობ“ მარტო იმასა სწორდნენ, რომ ჩხეიძე დიდი ქართველი იყო. მაგრამ თუ რად მოიგლა თავი ამ დიდმა ქართველმა, კრინტიც არ დაუძრავთ. გან-სვენებულის მეგობრები და პატივისმცემები უნი და საზოგადო „მთლიანი ეროვნული ფრონტი“ თავს იმით იკავით და ბრძოლა რომ განსვენებულის საფლავზე ყოველ წლივ მიდიოდა და მერე სახლში ბრუნდებოდა. ეტკო-ბა ასე ხელასარიელი სიახლული მოსახლეობებელი გამხდარა და წარსულ წლის თავზედ სიტყვის სათქმელად ბ. რ. არსენიძე გამოვიდა. „დამოუკი-დებელმა საქართველომაც“, როგორც იყო გაბედა და ბ. რ. არსენიძის სი-ტყვა მთლიანად დაბეჭდა. მოგვყავს მხოლოდ მცირე ადგილი: „ვაკლებ თვალს ჩვენ მახლობელ წარსულს და ქედავ, ერთი საშინელი სენი დასჩემდა ქართველ საზოგადოებრივობას: ვერ მოგვივლია ჩვენი მოღვაწეებისა-თვის, უდროვოდ ვკარგავთ მათ, არაჩვეულებრივი გზით, არათავისი სიკ-ვდილით. მახსენდება ეგნატე ნინოშვილის უდროოთ გადაცვალება, ვანო მაჩაბელის უგზო-უკვლელ დაკარგვა, ილია ჭავჭავაძის ტყვიით განგმირუ-ლი შებლი დე ახლა კიდევ ჩვენი კარლო... თავისი ხელით... გასსხლიანე-ბული ბალიშით... არა, ამას უნდა ბოლო მოვწოდ? ეს უნდა ამოითხვრას ჩვენი ცხოვრების გზიდან“.

თქმაც არ უნდა რომ მართალი ჰიტყვებია და ბ. რ. არსენიძეს ამ გა-  
 მბეჭდაობის: თვის მადლობა უნდა უთხრათ. ჩხეიძის ტრადიკულს და უდ-  
 როვო სიკვდილს ჩვენ მუდამ გულწრფელად ვსწუხდით. მაგრამ როგორც  
 პატი ამბობს: „არსაიდგან ხმა, არსით ძახილი“ იყო გამეფებული ამ  
 სიკვდილის გარშემო. ეხლა ცოტა რამ მაინც ითქვა. თუ კ. ჩხეიძის სიკვ-  
 დილში ქართული საზოგადოებრივობა არის დამნაშავე, ბ. რ. არსენიძის  
 გოდებას ჩვენ აღშფოთებასაც უერთებთ. მაგრამ უფლება გვაქვს ვიკ-  
 ხოთ, რომელ ქართველ საზოგადოებრივობაზედ ბრძანებს ბ. რ. არსენიძე?  
 ჩვენ დიდი ხანია იმ შეუსაბამო აზრს შეგვაჩვიეს, რომ ერთი საქართველო  
 და ერთი საზოგადოება არ არსებობს, ასეთ ლაშათს ჩვენში ოცდათი წე-  
 ლიწადი იმეორებდნენ. ჩვენ თავად მხოლოდ იმისი თქმა შეგვიძლოან, რომ  
 იმ საზოგადოებრივ აბან, რომელშიაც ჩვენ ასე იძულებით ვიყავით გამწე-  
 სებული, არც ჭავჭავაძისათვის გაუგმირნია შუბლი, არც ჩხეიძისათვის  
 გაულესია დანა. მაგრამ როგორც უკვე ითქვა, ბ. რ. არსენიძეს იმაზედაც  
 დიდი მადლობა უნდა უთხრათ, რაც მან ბრძანა.

---

 სარედაქციო კოლეგია.
 

---





ეროვნული  
ბიблиოთეკა